ერის გადააზრება: ეთნიკური ფრაგმენტაციიდან სამოქალაქო ინტეგრაციამდე?

კრისტოფერ ბერგუნდი, ტიმოთი ბლაუველტი

მთარგმნელი გიორგი ჩუბინიძე

როდესაც საქართველო საბჭოთა კავშირს გამოეყო, დამყოფმა ნაციონალისტურმა დოქტრინებმა უმცირესობები ტიტულურ ერს დაუპირისპირა და საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს დამანგრეველ ეთნიკურ კონფლიქტებს. ზვიად გამსახურდიას შოვინისტური მმართველობით მიღწეულმა პიროსის დამოუკიდებლობამ ტოქსიკური მემკვიდრეობა დაუტოვა მის მემკვიდრეებს, ედუარდ შევარდნაძიდან მიხეილ სააკაშვილამდე და შემდგომ. ეს თავი ასახავს მათ მცდელობებს, უფრო ინკლუზიურად ხელახლა განესაზღვრათ ქართველობა და უმცირესობების რეაქციებს ამ — ზოგჯერ გულგრილ და ხშირად საკამათო — პროცესზე.[1] გადაიქცა თუ არა საქართველოს სახელმწიფო დევიზი, ძალა ერთობაშია, სურვილიდან რეალობად?

ეროვნული გამოღვიძება გვიან-საბჭოთა საქართველოში

საბჭოთა გამოცდილებამ სიღრმისეული როლი ითამაშა ქართული ნაციონალიზმის ჩამოყალიბებაში, მისთვის უზრუნველყო ინსტიტუციური ელემენტები — ინდივიდუალური ეროვნების ნიშნები, განსაზღვრული სამშობლო და ტიტულური პრივილეგიები და პირველყოფილი ეთნოგენეზისის ღრმა რწმენა — რამაც ქართველი ერი შეაკავშირა. მე-19 საუკუნეში ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამედროვეების ენაზე ორიენტირებულ ნაციონალიზმთან შედარებით, საბჭოთა ეროვნების პოლიტიკა „*ქართველობის* ეთნიკურ ერად მოაზრებამდე“[2] მივიდა. სტალინის პერიოდში პასპორტებში შეტანილი მემკვიდრეობითი ეროვნების გრაფის გამო უმცირესობები ადვილად გამოცალკევდნენ ქართველებისგან. გარდა ამისა, ინტელიგენციამ დიდი ძალისხმევა ჩადო ეთნოცენტრული მითების კულტივირებაში. საბჭოთა კავშირში პოლიტიკური პრივილეგიები, როგორიცაა ავტონომიური ინსტიტუტები, შეიძლება მიენიჭებინათ მხოლოდ იმ ერებისთვის, რომლებიც თავიანთი სამშობლოს „ძირძველი“ მკვიდრები იყვნენ ან „განვითარებულები“, რაც გამოიხატებოდა გამორჩეული ენის ფლობით და მისი უწყვეტი გამოყენების ისტორიით.[3] თავიანთი ავტონომიური პრივილეგიების დასაცავად ან გასაძლიერებლად, სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალური პირები ადგილობრივ აკადემიკოსებს ახალისებდნენ დაემტკიცებინათ

---

[1] The chapter draws heavily on Berglund, Christofer (2016) *Borders and Belong- ing: Georgia's Armenian and Azerbaijani Ethno-Regions under Saakashvili's 'Civic' Nationalism".* PhD dissertation. Uppsala: Uppsala University.

[2] Amirejibi-Mullen, Rusudan (2011:265): *Language Policy and National Identity in Georgia*. PhD diss. London: Queen Mary University of London.

[3] Laurence Broers (2004:113f): *Containing the Nation, Building the State: Coping with Nationalism, Minorities and Conflict in Post-Soviet Georgia*. PhD diss. Lon- don: University of London.

ტიტულური ერების ძირძველი აბორიგენობა და ლინგვისტური სიდიადე.[4] აქედან გამომდინარე, საქართველოს ინტელიგენციას, ისევე როგორც სხვა ეროვნულ სამშობლოში მცხოვრებ ინტელიგენციებს, მთელი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში დავალებული ჰქონდა მკაფიოდ ეთნოცენტრული კვლევითი „მიგნებების“ წარმოება.

ამ დოქტრინებით გაჟღენთილმა ინტელექტუალებმა ხელი შეუწყვეს დამოუკიდებლობის მოძრაობებს, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში 1980-იანი წლების ბოლოს გაჩნდა.[5] საქართველოში ეროვნული გამოღვიძების მთავარ ლიდერებად ფილოლოგი ზვიად გამსახურდია, პოეტი მერაბ კოსტავა და ისტორიკოსი გიორგი ჭანტურია გამოჩნდნენ. გამსახურდია და კოსტავა 1950-იანი წლებიდან იყვნენ ჩართულები დისიდენტურ აქტივობებში, მაგრამ კგბ-ს მიერ მათ წინააღმდეგ გატარებული ზომების შემდეგ დისიდენტებმა თავიანთი აქტივობა უფრო უვნებელ კულტურულ საკითხებზე გაამახვილეს. თუმცა, კოსტავა და გამსახურდია 1977 წელს, უფლებადამცველი ჯგუფის დაარსებიდან სამი წლის შემდეგ დააკავეს.[6] კოსტავა ციმბირის ციხეში გაუშვეს, ხოლო გამსახურდიამ საჯაროდ დაგმო თავისი საქმიანობა და შიდა გადასახლების ხანმოკლე პერიოდის შემდეგ იგი შეიწყალეს. დისიდენტური მოძრაობა გორბაჩოვის *გლასნოსტის* პოლიტიკამდე მიძინებული იყო.[7] 1987 წელს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვის შემდეგ, ახლად გათავისუფლებულმა კოსტავამ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ დაარსებაში მიიღო მონაწილეობა.[8] ვინაიდან გამსახურდიას შელახული რეპუტაციის გამო ჯგუფში შესვლა აუკრძალეს, კოსტავამ და ჭანტურიამ მასთან ერთად ცალკე ფრაქცია დააარსეს, რომელიც ცნობილი იყო როგორც „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“.[9] თუმცა ეს მოძრაობა მალევე გაიყო. ჭანტურია თავის „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში” ჩაერთო, ხოლო კიდევ ერთმა ოპოზიციურმა მოღვაწემ, ირაკლი წერეთელმა, „ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია“ დააარსა.[10] იმავდროულად, საქართველოს კომუნისტური პარტია აკაკი ბაქრაძის ზომიერად ნაციონალისტური „რუსთაველის საზოგადოების“ მხარდაჭერით მთელი რიგი დისიდენტური მოძრაობების ჩამოშორებას შეეცადა.[11]

---

[4] Rouvinski, Vladimir (2007: 58-76): “The Policy of Ethnic Enclosure: A Study of the Role of Language in Ethnic Rivalries in the Caucasus”, *IPSHU English Research Report Series* No21. Hiroshima: Hiroshima University.

[5] Cheterian, Vicken (2008a: 40-42): *War and Peace in the Caucasus: Russia’s Troubled Frontier*. New York: Colombia University Press.

[6] Suny, Ronald Grigor (1994: 309): *The Making of the Georgian Nation*. Indianapolis: Indiana University Press.

[7] Kaufman, Stuart J. (2001: 100): *Modern Hatreds: The Symbolic Politics of Ethnic War*. Ithaca: Cornell University Press; Broers 2004: 146.

[8] Hewitt, George B. (2013: 52-55): *Discordant Neighbours: A Reassessment of the Georgian-Abkhazian and Georgian-South Ossetian Conflicts*. Leiden: Brill.

[9] Beissinger, Mark R. (2002: 179): *Nationalist Mobilization and the Collapse of the Soviet State*. Cambridge: Cambridge University Press.

[10] Wheatley, Jonathan (2005a: 42): *Georgia from National Awakening to Rose Revolution: Delayed Transition in the Former Soviet Union*. Aldershot: Ashgate.

[11] Amirejibi-Mullen, 2011: 261.

ყველა ეს ორგანიზაცია რესპუბლიკის ქართულ "კუთვნილებაზე" მიუთითებდა. 1987 წლის ბოლოს მიღებულ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების პროგრამაში ნათქვამია: „საქართველო უნდა დარჩეს ქართველთა ქვეყანად". ამის შემდეგ ის აფრთხილებს არაქართველთა რაოდენობის სახიფათო ზრდაზე და მოუწოდებს გარკვეული ზომების მიღებისკენ, რამაც უნდა გააძლიეროს ქართული ენის როლი და ქართული ლიტერატურისა და ისტორიის სწავლება.[12] ეროვნულ-დემოკრატიული პარტია უფრო შორს წავიდა, შემოიღო სლოგანი „საქართველო ქართველებისთვის" და ეჭვქვეშ დააყენა ავტონომიური ტერიტორიების არსებობა საქართველოში, როგორც „ისტორიული ტერიტორიების, რომლებიც ოდითგანვე საქართველოს ეკუთვნოდა".[13] როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ასევე წმინდა ილია მართლის საზოგადოება დამოუკიდებლობისკენ მოუწოდებდნენ და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაძლიერებას ცდილობდნენ.[14] ამ მიზნით მათ ჭავჭავაძის სახელი ქართულ ნაციონალიზმსა და მართლმადიდებლურ ქრისტიანობას შორის კავშირის გასამყარებლად გამოიყენეს, მიუხედავად იმისა, რომ ჭავჭავაძეს ბევრად უფრო სეკულარული მსოფლმხედველობა ჰქონდა.[15]

ამ რადიკალების მოთხოვნები თავიდანვე „ბევრად წინ იყო, ვიდრე ქუჩაში მობილიზებულ ხალხის".[16] მაგრამ 1988 წლის მიწურულს 100 000-ზე მეტი ადამიანი გამოვიდა პროტესტის ნიშნად საბჭოთა კონსტიტუციაში შემოთავაზებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, რითაც უნდა შეზღუდულიყო საქართველოს გამოყოფის უფლება და ცენტრს უფლება უნდა მისცემოდა გაეუქმებინა ნებისმიერი რესპუბლიკური კანონი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა საკავშირო კანონებს.[17] ხელისუფლებამ დისიდენტების დაშოშმინებით სცადა პასუხის გაცემა. 1989 წლის აგვისტოში ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი მომზადდა და მიღებულ იქნა.[18] თუმცა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ კონტროლი არ დაკარგა და 1989 წლის მარტის სსრკ-ს სახალხო დეპუტატთა კონგრესის არჩევნებში აშკარა გამარჯვება მოიპოვა.[19] მაგრამ აპრილში მომიტინგეები დამოუკიდებლობის მოთხოვნით შეიკრიბნენ და ამჯერად ხელისუფლებამ სადამსჯელო პასუხი გასცა. საბჭოთა

---

[12] Hewitt, 2013: 53.

[13] Hewitt, 2013: 54.

[14] მ ა გ ა ლ ი თ ა დ, პ ი რ ვ ე ლ ჯგუფი მ ხ ა რ ს უ ჭ ე რ დ ა ორპ ა ლ ტ ი ა ნ პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ს , ა რ ჩ ე უ ლ ქ ვ ე დ ა პ ა ლ ტ ი თ დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ს ა ს მ ა რ თ ლ მ ა დ ი დ ე ბ ე ლ ე კ ლ ე ს ი ი ს წ მ ი დ ა ს ი ნ ო დ ი თ დ ა კ ო მ პ ლ ე ქ ტ ე ბ უ ლ ზ ე დ ა პ ა ლ ტ ი თ; Cornell, Svante E. (2002: 150): *Autonomy and Conflict: Ethnoterritoriality and Separatism in the South Caucasus – Cases in Georgia*. PhD diss. Uppsala: Uppsala University.

[15] დ ი ს ი დ ე ნ ტ ე ბ ი , მ ა გ ა ლ ი თ ა დ, წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ დ ნ ე ნ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს დ ე ვ ი ზ ს , რ ო გ ო რ ც „ ე ნ ა , ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა , მ ა მ უ ლ ი " - გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ი თ თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ „ მ ა მ უ ლ ი , ე ნ ა , ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს ა ". (Suny 1994: 320); Nodia, Ghia (2009: 93): "Components of the Georgian National Idea: an Outline" in *Identity Studies* 1: 84-101; Andronikashvili, Zaal & Giorgi Maisuradze (2010: 14): "Secularization and Its Vicissitudes in Georgia" in *Identity Studies* 2: 5-17.

[16] Broers 2004: 147.

[17] Wheatley 2005a: 42.

[18] Smith, Graham, Vivien Law, Andrew Wilson, Annette Bohr, Edward Allworth (1998: 172): *Nation-Building in the Post-Soviet Borderlands: The Politics of Na- tional Identities*. Cambridge: Cambridge University Press.

[19] Cornell, Svante E. (2001: 148): *Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus*. London: Routledge.

ჯარებმა დაარბიეს მიტინგები მომწამლავი გაზისა და ნიჩბების გამოყენებით, რასაც 19 მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა.[20] კოსტავა და გამსახურდია დააკავეს და დააპატიმრეს.

9 აპრილის ტრაგედია იყო კრიტიკული მომენტი საქართველოს დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე, რომელმაც შეუქცევად დააზიანა საბჭოთა ქართველი ჩინოვნიკების რეპუტაცია. ისინი ნდობის აღდგენას დამშვიდებით ცდილობდნენ: შეცვალეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერი; გაათავისუფლეს გამსახურდია და კოსტავა; და ძალაში შევიდა ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა. 1989 წლის შემოდგომისთვის ქართველმა კომუნისტებმა მოითხოვეს „ეროვნული სუვერენიტეტი, საქართველოს მოქალაქეობა, საქართველოს კანონის უზენაესობა საკავშირო სამართალზე და მუშაობდნენ უმცირესობების რაიონებში ქართველების ჩასახლებისა და ადგილმდებარეობების სახელების გაქართულებისთვის“.[21] მაგრამ 9 აპრილის ტრაგედიამ ძირი გამოუთხარა ძველი კომუნისტური *ნომენკლატურის* ავტორიტეტს. საბჭოთა მმართველობა რუსეთის ბატონობასთან გაიგივდა, ქართველები დისიდენტების უკან დადგნენ, ხოლო მიზანი უკვე დამოუკიდებლობა იყო.[22] მიუხედავად ამისა, თავად დისიდენტები „კვლავ ღრმად იყვნენ დაყოფილები არსებული წესრიგისადმი [მათი] დამოკიდებულებების გამო“.[23] რადიკალებმა ყველა არსებული პოლიტიკური სტრუქტურა ოკუპაციის სიმბოლოდ აღიქვეს, უარყვეს ოფიციალური არჩევნები და მოითხოვეს ალტერნატიული პარლამენტის, ეროვნული კონგრესის შექმნა. ზომიერები 1921 წელს საბჭოთა კავშირის მიერ საქართველოს დაპყრობას ასევე უკანონოდ მიიჩნევდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მხარს უჭერდნენ მონაწილეობას საქართველოს უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ არჩევნებში, რომელიც 1990 წლის ოქტომბერში იყო დაგეგმილი.[24]

გამსახურდიამ მანევრირებაში რადიკალებსაც და ზომიერებსაც აჯობა. 1990 წლის მაისში მან დატოვა რადიკალები და საქართველოს უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ჩამოაყალიბა კოალიცია „მრგვალი მაგიდა“. თუმცა, რკინიგზის ბლოკადისა და გაფიცვის გზით მან ჯერ მოქმედ უზენაეს საბჭოს აიძულა მიეღო საარჩევნო კოდექსი, რომელიც კრძალავდა რეგიონულ პარტიებს, რითაც საქართველოს საზღვრისპირა ტერიტორიებზე მცხოვრებ უმცირესობებს პოლიტიკური უფლებები ჩამოართვა [disenfranchising].[25] ასეთი ეთნიკური პოპულიზმის მიმზიდველობის გამო, მრგვალმა მაგიდამ ხმების 54% მიიღო და კომუნისტების და ზომიერი დისიდენტების მარგინალიზება მოახდინა. მიუხედავად

---

[20] Kaufman 2001: 101f.
[21] Cornell 2001: 149-150.
[22] Beissinger 2002: 185.
[23] Suny 1994: 320.
[24] Nodia, Ghia (1996): “Political Turmoil in Georgia and the Ethnic Policies of Zviad Gamsakhurdia” in Bruno Coppieters (ed.) *Contested Borders in the Caucasus*. Brussels: Vrije Universiteit Brussels Press.
[25] Toft, Monica D. (2001: 133): “Multinationality, Regional Institutions, State-Building, and the Failed Transition in Georgia” in *Regional & Federal Studies* 11 (3): 123-142.

იმისა, რომ ეროვნული კონგრესი მაინც დაუპირისპირდა გამსახურდიას მმართველობას,[26] მან განაგრძო საქართველოს საბჭოთა ორბიტიდან გამოყვანა. საქართველოს სსრ-ს „საქართველოს რესპუბლიკა“[27] დაერქვა და 1991 წლის მარტში ჩატარდა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის შესახებ, რომელშიც 99,6% მხარი დაუჭირა დამოუკიდებლობას.[28] საქართველო სსრკ-ს 1991 წლის 9 აპრილს გამოეყო და მომდევნო თვეში გამსახურდია ხმების აბსოლუტური 86,5%-ით აირჩიეს პრეზიდენტად.[29]

"საქართველო ქართველებისთვის"

გამსახურდიას მმართველობა ასოცირდება მანტრასთან „საქართველო ქართველებისთვის“.[30] სლოგანი ასახავდა იმ დროს გავრცელებულ ქართველობის მკაცრ განმარტებას, რომლის მიხედვითაც კუთვნილება მოითხოვდა ქართული ენის ცოდნას, მართლმადიდებლური ეკლესიისადმი ერთგულებას და პასპორტში ქართული ეროვნების აღნიშვნას. უფრო მეტიც, გამსახურდიამ ერი განმარტა, როგორც უხსოვარი დროიდან ისტორიულად შემოსაზღვრული, რითაც აღვივებდა პირველყოფილ და უაღრესად ექსკლუზივისტურ ქართულ ნაციონალიზმს. ამ კუთხით, დევიზი „საქართველო ქართველებისთვის“ ასახავდა არასრულყოფილების [incompleteness] განცდას, რომელსაც კვებავდა საბჭოთა მმართველობის წინააღმდეგ არსებული იმედგაცრუება, რუსიფიკაციის საფრთხე და „ჩასახლებული“ უმცირესობების ზედმეტი გავლენა, რომლებიც განიხილებოდნენ, როგორც „მარადიული ქართული კულტურული სივრცის არაავთენტურ კოლონიურ ფენებად”.[31]

ქვეყნის დასაკუთრებისკენ სწრაფვა პირველად ენობრივი პოლიტიკის სფეროში გამოჩნდა. დისიდენტების ზეწოლის შედეგად კომუნისტებმა 1988 წლის ნოემბერში შეადგინეს ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა და 1989 წლის აგვისტოში მიიღეს. მან „ნათელი გახადა, რომ ქართულის გარეშე გადარჩენა დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში რთული იქნებოდა“ და სახელმწიფო ინსტიტუტებს, საწარმოებს, სკოლებსა და უნივერსიტეტებს მოუწოდებდა ხელი შეეწყოთ ქართული ენის სწავლებისთვის აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ საზღვრისპირა

---

[26] ეს კონფლიქტი სამოქალაქო ომის თესლს იქიდან მოყოლებული შეიცავდა, რაც დაპირისპირებაში სამხედროები ჩაერთნენ. ეროვნულ კონგრესს მხარი დაუჭირა “მხედრიონის" ბანდამ, ჯაბა იოსელიანის ხელმძღვანელობით. თავის მხრივ, მრგვალ მაგიდას მხარი დაუჭირა მილიციამ სახელწოდებით "თეთრი გიორგის საზოგადოება", რომელსაც ხელმძღვანელობდა თენგიზ კიტოვანი - გამსახურდიას ახლო მეგობარი. (Broers 2004: 163).

[27] Cornell 2002: 157.

[28] Broers 2004: 149.

[29] Suny 1994: 326.

[30] Nodia, Ghia (1997: 30): “Causes and Visions of Conflict in Abkhazia”, Working Paper Series, Berkeley Program in Soviet and Post-Soviet Studies. Berkeley: University of California.

[31] Broers, Laurence (2009: 109): “‘David and Goliath’ and ‘Georgians in the Kremlin’: a post-colonial perspective on conflict in post-Soviet Georgia” in *Central Asian Survey* 28 (2): 99-118.

ტერიტორიებზე, სადაც მან აქამდე ვერ შეძლო ფეხის მოკიდება[32]. მიუხედავად ამისა, არც ერთ დებულებაში არ იყო გამოხატული ზრუნვა რუსულის ან უმცირესობების ენების როლზე რესპუბლიკაში.[33] ვინაიდან სასაზღვრო რეგიონებში უმცირესობები რუსულს ან მშობლიურ ენას — ან ორივეს — ეყრდნობოდნენ, ამ ენობრივ პროგრამას მაღალი ალბათობით მათი ყოველდღიური ცხოვრება უნდა გაერთულებინა.

თუმცა, გამსახურდიასთვის (1990) ქართული ენა ეთნორელიგიური აღორძინების მხოლოდ ერთი ელემენტი იყო.[34] „საქართველოს სულიერ მისიაში“ გასაწევრიანებლად ასევე საჭირო იყო მართლმადიდებლობა და აბორიგენობა. გამსახურდიამ არა მხოლოდ შუა საუკუნეების ქრისტიანი მემატიანე ლეონტი მროველი გაიხსენა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქართველები წარმოშობით მითიური ქართლოსისაგან, ბიბლიური ნოეს ძის იაფეტის შვილიშვილიდან მოდიოდნენ.[35] მან ასევე გააცოცხლა ნიკო მართან დაკავშირებული ჰიპოთეზა და ამტკიცებდა, რომ ქართული, უფრო დიდი „იაფეტური“ ენის ბირთვში, „იბერო-კავკასიური“ ენა იყო, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ფუძე ენად იყო წარმოდგენილი.[36] გამსახურდიას მესიანური ხედვა დამატებით ძალას იძენდა შუა საუკუნეების პოემიდან „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომელიც მან განმარტა, როგორც “ენისა და ხალხის ბედისწერის გაერთიანება, სადაც იგი ქართველებს და მათ ენას ხედავდა როგორც დამცირებულს და დავიწყებას მიცემულს [...], მაგრამ წინასწარმეტყველებდა მათ საბოლოო აღდგომას და ამაღლებას კაცობრიობის სულიერი მოძღვრის პოზიციამდე.”[37]

ამგვარად, რელიგიური სიმბოლიკა გამსახურდიას მმართველობის დროს საჯარო სფეროში შევიდა. მან მართლმადიდებლური დღესასწაულები ეროვნულ დღესასწაულებად გამოაცხადა და გამსახურდიამ საპრეზიდენტო სიტყვით გამოსვლისას ქართულ ეროვნულ მოძრაობას „სახალხო-რელიგიური მოძრაობა“ უწოდა, რომლის მიზანი იყო „ერის ზნეობრივი აღორძინება და ეკლესიისა და სახელმწიფოს გაერთიანება“.[38] დისიდენტების დევიზი, საქართველო ქართველებისთვის, ფართოდ იყო გაგებული როგორც „საქართველო ქრისტიანი ქართველებისთვის“.[39] ეს რელიგიური აღორძინება წარმოადგენდა საბჭოთა ათეიზმთან წყვეტას, მაგრამ სხვა მხრივ გამსახურდიამ შეინარჩუნა აზროვნების კატეგორიები, რომლებიც წარმოდგენილია საბჭოთა ეროვნების პოლიტიკასა და

---

[32] Broers 2004: 158, cf. 161.

[33] Hewitt 2013: 57-58.

[34] Gamsakhurdia, Zviad (1990): “The Spiritual Mission of Georgia”. A lecture delivered at the Idriart Festival in the Tbilisi Philharmonic House.

[35] Amirejibi-Mullen 2011: 139.

[36] Broers 2004: 157; Tuite, Kevin (2008): “The Rise and Fall and Revival of the Ibero-Caucasian Hypothesis” in *Historiographia Linguistica* 35: 23-82.

[37] Smith et al 1998: 182.

[38] ამირეჯიბი-მულნს (2011: 261) მოჰყავს გამსახურდიას სიტყვები: „ქართველ ერი თანასწორთა შორის რჩეულია თავისი ცხოვრების წესით, ადგილთა და ენით. საქართველოს ბედისწერა თეოტოკოსობაა“. თეოტოკოს ბერძნული სიტყვაა და პირდაპირ ითარგმნება როგორც "ღვთისმშობელი".

[39] Toft 2001: 133.

ეთნოგენეზის საბჭოთა კონცეფციებში.[40] მან განასხვავა ძირძველი და ჩამოსახლებული ხალხები და მათ თავის მხრივ „მასპინძლებად“ და „სტუმრებად“ მოიხსენიებდა.[41] იმის გამო, რომ მხოლოდ აბორიგენი ეროვნებები იმსახურებდნენ პოლიტიკურ პრივილეგიებს, ქართველი მეცნიერები, მათ შორის გამსახურდია, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ საზღვრისპირა ტერიტორიებზე არსებული უმცირესობები ჩამოსახლებულები იყვნენ და, შესაბამისად, არ იმსახურებდნენ ყურადღებას.

მიუხედავად იმისა, რომ ოსები სამხრეთ ოსეთში ყოფნას ორი ათასწლეულით ათარიღებენ, ქართველმა ინტელიგენციამ ისინი წარმოადგინა, როგორც ბოლოდროინდელი ჩამოსახლებულები, რომლებიც მე-17 და მე-18 საუკუნეებში კავკასიის მთებს აქეთ გადმოსახლდნენ.[42] ამიტომ ქართველებმა დაიწყეს ამ ტერიტორიის მოხსენიება „შიდა ქართლად“ ან „სამაჩაბლოდ“, რაც ნიშნავს „შიდა საქართველოს“ და „მაჩაბელთა საგვარეულოს სამფლობელოს“.[43] გამსახურდია იზიარებდა ამ პოზიციას და ამტკიცებდა, რომ „საქართველოს ოსები არასასურველი „სტუმრები“ არიან, რომლებიც უნდა „დაბრუნდნენ“ ჩრდილოეთ ოსეთში“, სადაც ის თვლიდა რომ მათი სამშობლო იყო.[44]

მსგავსი კონფლიქტი წარმოიშვა აფხაზებთანაც, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ საუბრობდნენ „მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ენაზე“, რომელიც არსებითად იყო დაკავშირებული აფხაზეთის ტერიტორიის ისტორიულ წარსულთან.[45] გამსახურდია და სხვა ქართველი მკვლევარები ეჭვქვეშ აყენებდნენ ამ ნარატივს. ერთის მხრივ, ისინი აფხაზებს და მათ ენას იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციის ნაწილად წარმაოდგენდნენ, რაც მათ ქართველებთან დაკავშირებულს ხდიდა.[46] მაგრამ მათ ასევე გააცოცხლეს პავლე ინგოროყვას ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ აფხაზები მე-17 საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში გადმოვიდნენ და გააძევეს რეგიონში მცხოვრები ქართულ ენაზე მოლაპარაკეები, რომელთა კულტურა, სავარაუდოდ, ამ მხარეში ბატონობდა.[47] გამსახურდიამ ამგვარად დაასკვნა, რომ აფხაზები უნდა სარგებლობდნენ თვითგამორკვევით ჩრდილოეთ კავკასიაში, საიდანაც ისინი მოდიან, მაგრამ არა საქართველოში.[48]

---

[40] Broers 2004: 155.

[41] Suny 1994: 325.

[42] Rouvinski 2007: 164f. Kaufman 2001: 97f.

[43] Hewitt 2013: 96f.

[44] Brooke, James (1991): “As Centralized Rules Wanes, Ethnic Tension Rises Anew in Soviet Georgia” in *The New York Times* (2 October).

[45] Rouvinski 2007: 144-150.

[46] Broers 2004: 159.

[47] ინგოროყვამ თავისი ჰიპოთეზა 1950-იან წლებში გააჟღერა, იმ დროს, როდესაც აფხაზეთში რიგი გაქართველების პოლიტიკები ტარდებოდა. თანამედროვე მეცნიერთა უმეტესობამ უარყო მისი იდეა. (Kaufman 2001: 92; Cornell 2001: 151). Hewitt 2013: 47. Coppieters, Bruno (2002: 98): “In Defence of the Homeland: Intellectuals in the Georgian-Abkhazian Conflict” in Bruno Coppieters & Michel Huysseune (eds.) *Secession, History and the Social Sciences*. Brussels: VUB Press.

[48] Nodia 1997: 27.

არც საქართველოს სომხები და აზერბაიჯანელები შეესაბამებოდნენ გამსახურდიას ეროვნულ პროექტს. როგორც გრიგორიანელი ქრისტიანები და მუსლიმები, შესაბამისად, ვერ შეუერთდებოდნენ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე ორიენტირებულ საქართველოს სულიერ მისიას. ორივე უმცირესობა უცხო იყო იბერიულ-კავკასიური ცივილიზაციისთვის, რისიც გამსახურდიას სჯეროდა.[49] ამიტომ სომხები და აზერბაიჯანელები წარმოდგენილები იყვნენ როგორც ჩამოსახლებულები და, როგორც ასეთები, „უნდა განედევნათ ერიდან ან, სულ მცირე, მოპყრობოდნენ როგორც მეორეხარისხოვან მოქალაქეებს“.[50] ამ კუთხით, ქართველები შეშფოთებულები იყვნენ ეთნიკურ სომხებში შობადობის მაჩვენებლებით და კიდევ უფრო, აზერბაიჯანელებში.[51] დაისვა მოთხოვნები არაქართველთა შობადობის შეზღუდვის შესახებ; სასაზღვრო რეგიონებში ქართველების ჩასახლების; და ბინადრობის ნებართვის შემოღების, რათა შეზღუდულიყო უმცირესობებისთვის ანკლავებს მიღმა გადაადგილება.[52]

გამსახურდია არ იყო უცხო ასეთი რიტორიკისთვის. მან შეცვალა ადგილმდებარეობათა დასახელებები სასაზღვრო რეგიონებში, რათა მათ უფრო ქართული ჟღერადობა ჰქონოდათ: ჯავახეთის ბოგდანოვკის რაიონს ნინოწმინდა ეწოდა, ხოლო ქვემო ქართლის ბოლნისის რაიონის ათეულობით სოფელს ხელახლა დაერქვა სახელი.[53] 1991 წლის მარტში, პრეზიდენტად არჩევამდე ცოტა ხნით ადრე, იგი ამტკიცებდა, რომ: „საქართველოს სხვა ეროვნებების მიერ შთანთქმის საფრთხე ემუქრება, რომლებიც აქ კრემლმა, რუსეთმა, იმპერიამ ჩამოიყვანა: აზერბაიჯანელები, სომხები და ოსებიც კი აქ ახალმოსულები არიან.”[54] „საქართველოს გადასარჩენად“ გამსახურდიამ წამოაყენა ინიციატივა აკრძალულიყო ეთნოსებს შორის ქორწინება და მხარს უჭერდა მოქალაქეობის მხოლოდ იმ მაცხოვრებლებისთვის შენარჩუნებას, რომელთა წინაპრები საქართველოში რუსეთის ანექსიამდე ცხოვრობდნენ, ე.ი. 1921 ან შეიძლება 1801 წლამდეც კი.[55] საბოლოოდ, მოქალაქეობის სრული უფლება მიენიჭა ყველას, ვინც საქართველოში ათ წელიწადზე მეტი ცხოვრობდა, ენის მოთხოვნების გარეშე.[56] მაგრამ ამ ეტაპზე უკვე აშკარა იყო, რომ გამსახურდია და რიგითი ქართველები ცდილობდნენ გაეგრძელებინათ პრივილეგირებული ტიტულური

---

[49] Broers 2004: 157.

[50] Amirejibi-Mullen 2011: 265.

[51] 1990 წ ე ლ ს თ ბ ი ლ ი ს შ ი ჩ ა ტ ა რ ე ბ ულ მ ა გ ა მ ო კ ი თ ხ ვ ა მ ა ჩ ვ ე ნ ა , რ ო მ გ ა მ ო კ ი თ ხ ულ თ ა 77,5%-მ ა „დ ე მ ო გ რ ა ფ ი ულ პ რ ო ბ ლ უ მ ა “ ა ხ ს ე ნ ა , რ ო დ ე ს ა ც ს თ ხ ო ვ ე ს ა ე რ ჩ ი ა თ მ ა თ თ ვ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი შ ვ ი დ ი ს ა კ ი თ ხ ი . (Kaufman 2001: 94); Nodia 1996.

[52] Broers 2004: 173; Hewitt 2013: 57-80.

[53] MRMG (2011): “Renewal of toponymy as one of the real steps on reinstatement of interethnic dialogue in Kvemo Kartli region in Georgia”. Tbilisi: The Monitoring Group on Protection of Rights of Ethnic Minorities.

[54] Shane, Scott (1991): “Nationalist Leader in Soviet Georgia Turns Georgians Against Minorities” in *The Baltimore Sun* (7 March).

[55] Kaufman 2001: 110; Hin, Judith (2003: 46): *Ethnic and Civic Identity: Incompatible Loyalties? The Case of Armenians in Post-Soviet Georgia*. PhD diss. Utrecht: Nederlandse Geografische Studies 315.

[56] Broers 2004: 158.

ერების საბჭოთა პრაქტიკა — და ეს გაფართოვებულიყო დამოუკიდებელ „საქართველო ქართველებისთვის!“ სახელმწიფოდ.

მატრიოშკა ნაციონალიზმი

გამსახურდიას ექსკლუზივისტურმა ნაციონალიზმმა შეაშფოთა ქვეყნის უმცირესობები. თუკი ისინი ეთნიკური ქართველების მიერ მართულ დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოში იქნებიან, მაშინ ისინი „ერების საპყრობილეში“ აღმოჩნდებიან, რასაც ბედის ირონიით ქართველი ნაციონალისტები საბჭოთა კავშირს უწოდებდნენ. ამიტომ, გამსახურდიას სწრაფვა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის (სსრკ-სგან) შეიცავდა საკუთარი დაღუპვის თესლს. მისი ეთნიკური ნაციონალიზმი უმცირესობებს შორის ანალოგიურ ეთნიკურ ნაციონალიზმს და თვითგამორკვევისკენ სწრაფვას (დამოუკიდებელი საქართველოსგან) კვებავდა; ფენომენს რომელიც ცნობილია როგორც მატრიოშკა ნაციონალიზმი, რუსული ერთმანეთში ჩადებულ თოჯინებზე ანალოგიით.

აჭარის ასსრ-ში გაუცხოების სიმპტომები მდუმარე სახით წარმოიშვა. მიუხედავად იმისა, რომ აჭარლები მათ პასპორტებში ქართველებად ითვლებოდნენ, მართლმადიდებლური ქრისტიანობის პოლიტიზებამ კვლავ გააღვიძა ძველი განხეთქილება, რადგან აჭარლებს აგრძნობინეს, რომ ისინი ერთდროულად ვერ იქნებოდნენ (სუნიტები) მუსლიმებიც და ქართველებიც.[57] თავის ჰომოგენიზაციისკენ სწრაფვის გაგრძელებად, გამსახურდიამ აჭარის ავტონომიური სტატუსის გაუქმების იდეა წამოაყენა. თუმცა ამ პოზიციას მცირე ადგილობრივი მხარდაჭერა ჰქონდა და იქ მრგვალი მაგიდა 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებში კომუნისტებთან დამარცხდა.[58] შემდეგ გამსახურდიამ გარიგება დადო ადგილობრივი ძალების ბროკერთან, ასლან აბაშიძესთან და აჭარის ავტონომიური ინსტიტუტების გაუქმებაში მის მხარდაჭერას ელოდა. ნაცვლად ამისა აბაშიძემ თავისი თავი რეგიონულ ძლიერ ხელად დასვა.[59]

გამსახურდიას რიტორიკამ სუფთა ქართველი ერის შესახებ ასევე დააშორა სამხრეთ ოსებს, რომელთაგან ბევრი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, ქართულად ლაპარაკობდა და ქართველებთანაც კი იყო ქორწინებაში.[60] 1989 წლის დასაწყისში

---

[57] Pelkmans, Mathjis (2006: 122): *Defending the Border: Identity, Religion, and Modernity in the Republic of Georgia*. Ithaca: Cornell University Press; Pelkmans, Mathjis (2010: 116): “Religious Crossings and Conversions on the Muslim–Christian Frontier in Georgia and Kyrgyzstan” in *Anthropological Journal of European Cultures* 19 (2): 109-128.

[58] Wheatley 2005a: 58.

[59] Nodia, Ghia (2005: 53f): “Georgia: Dimensions of Insecurity” in Bruno Cop- pieters& Robert Legvold (eds.) *Statehood and Security: Georgia after the Rose Revolution*. Cambridge: MIT Press.

[60] საბჭოთა პერიოდის გაქართულების პოლიტიკებს სამხრეთოსები გამოეხმაურენ. სამხრეთოსეთის მეორე დეფაქტო პრეზიდენტი, ედუარდ კოკოითი, დაიბადა როგორც კოკოევი, ტიპიური რუსული -ოვ სუფიქსით. მაგრამ თბილისში ყოფნისას ედუარდს ურჩიეს, რომ მის კარიერას წაადგებოდა თუ გვარს კოკოშვილზ დგადაიკეთებდა და ამითსახასიათო ქართულ-შვილ დაბოლოებას აიღებდა. ედუარდმა ეს შეურაცხყოფა დმიიღო და ამის ნაცვლზ დ

დაარსდა ოსური სახალხო ფრონტი, *ადაემონ ნიხასი*.[61] ხოლო ქართული ენის პროგრამის მიღების შემდეგ, რომელიც პროექტის დონეზეც უკვე პროტესტის საგანი იყო, კონფლიქტი პოლიტიკურ ასპარეზზე გადავიდა. სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა ოსური ოლქის ოფიციალურ ენად გამოაცხადა და მოსკოვს სთხოვა მათი სტატუსი ავტონომიური ოლქიდან ავტონომიურ რესპუბლიკამდე აემაღლებია.[62] თბილისმა გააუქმა ეს პეტიცია და გამსახურდიამ ამ მხარეში მცხოვრები ქართველების მხარდასაჭერად ორგანიზება გაუკეთა „ცხინვალისკენ მსვლელობას“.[63]

დაძაბულობამ გამწვავდა 1990 წლის აგვისტოს შემდეგ, როდესაც საარჩევნო კოდექსით რეგიონული პარტიები აიკრძალა. სამხრეთ ოსეთის პარლამენტმა რეგიონი "დამოუკიდებელ საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად" გამოაცხადა და ადამონ ნიხასის მხარდაჭერა გაიზარდა. როდესაც სამხრეთ ოსეთის ახლადარჩეულმა ასამბლეამ დეკემბერში მხარი დაუჭირა რეგიონის უშუალოდ მოსკოვს დაქვემდებარებას, თბილისმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური სტატუსი მთლიანად გააუქმა. ეს კანონთა ომი შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა, როდესაც ქართველმა გასამხედროებულა ჯგუფებმა ალყა შემოარტყეს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალს.[64] ჩამოყალიბდა ოსური თავდაცვის ქვედანაყოფები, რომლებიც გაძლიერდა ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოსული მოხალისეებით და რუსეთის დახმარებით. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი სპორადული პარტიზანული ბრძოლების მიღმა არ გამწვავებულა, ოსებმა უარყვეს საქართველოს 1991 წლის მარტის დამოუკიდებლობის პლებისციტი, მაგრამ ხმა მისცეს გორბაჩოვის სრულიად საკავშირო რეფერენდუმს, სადაც მათმა 99%-მა მხარი დაუჭირა სსრკ-ს შენარჩუნებას.[65] ქართველებმაც და ოსებმაც საკუთარი ხაზების უკან დაიხიეს, შექმნეს ფრაგმენტული კონფლიქტის ზონა, რომელშიც ოსებით დასახლებული ტერიტორიები საქართველოს ხელისუფლების კონტროლის მიღმა იყო.

აფხაზები კიდევ უფრო ანტაგონისტურად იყვნენ განწყობილები საქართველოს რესპუბლიკის მიმართ. ოსებისგან განსხვავებით, რომელთა მობილიზება თბილისის ეთნიკური ნაციონალიზმზე პასუხად მოხდა, აფხაზებს საქართველოსგან გამოყოფის მოთხოვნის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. ისინი ენობრივი და კულტურული საჩივრებით იყვნენ მოტივირებული, რაც გამოხატული იყო აფხაზი ინტელექტუალების მიერ 1947 წლიდან დაწერილ ათობით მიმართვის წერილში, სადაც ისინი ითხოვდნენ თავიანთ ავტონომიურ რესპუბლიკას მინიჭებოდა საკავშირო

თავისი რუსიფიცირებული გვარი, კოკოევი, თავდაპირველოს ურ ფორმაში და იბრუნა: კოკოითი (Hewitt 2013: 182, fn 99); Cornell 2001: 41; Kaufman 2001: 87; Barry, llen (2008): “Soviet Union’s Fall Unravelled Enclave in Georgia” in *The New York Times* (6 September).

[61] Wheatley 2005a: 46.

[62] George, Julie (2009: 100): *The Politics of Ethnic Separatism in Russia and Georgia*. New York: Palgrave Macmillan.

[63] Cornell 2002: 192f.

[64] გამსახურდიას კონტროლის ქვეშ მხოლოდ ამ სამხედრო ძალების ნაწილი იმყოფებოდა. Brooke 1991.

[65] Cornell 2001: 155.

რესპუბლიკის სტატუსი ან გადაეცათ რუსეთის რსფსრ-სთვის.[66] ეს საჩივრები უარყვეს, თუმცა აფხაზებმა მიიღეს აფხაზეთის უნივერსიტეტი და კვოტები[67], რომლებიც მათ სამთავრობო პოსტებზე პრივილეგირებულ წვდომას ანიჭებდა. მაგრამ აფხაზები თავიანთ მდგომარეობას მაინც საშიშად აღიქვამდნენ: ისინი ასსრ-ს მოსახლეობის მხოლოდ 17%-ს შეადგენდნენ და ეშინოდათ შემდგომი ეროვნული დაცემის თბილისის გეგმების გამო ქართული ენის გაძლიერებასთან დაკავშირებით და ქართულ პრესაში მოწოდებების ფონზე, რომ შეემცირებინათ არა-ქართველების რაოდენობა სსრ-ში.[68] ამგვარად, აფხაზებმა შექმნეს სახალხო ფრონტი, *აიდგილარა*, რომელმაც 1989 წლის მარტში თბილისისგან დამოუკიდებლობის მოთხოვნით ათასობით ადგილობრივი მოსახლე შეკრიბა პეტიციისთვის, სახელწოდებით ლიხნის დეკლარაცია.[69] ამან მთელს რესპუბლიკაში ქართველების პროტესტი გამოიწვია, ხოლო 9 აპრილის მოვლენებმა ეს განწყობები კიდევ უფრო დაამძიმა.[70]

აფხაზეთში ინსტიტუტების ეთნიკური ნიშნით განხეთქილება დაიწყო. ქართველმა სტუდენტებმა აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართული სექტორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალად გადაქცევა მოითხოვეს, რამაც აფხაზების პროტესტი გამოიწვია და ივლისის შუა რიცხვებში არეულობები. ქართველები და აფხაზები, ზოგიერთი მათგანი შეიარაღებული, მობილიზდნენ თავიანთი ეთნიკური ნათესავების მხარდასაჭერად, რის შედეგადაც ათზე მეტი დაიღუპა და ასობით დაიჭრა. საბჭოთა ჯარებმა ჩაახშვეს არეულობა, მაგრამ კონფლიქტი არ მოაგვარეს. თბილისში ქსენოფობიის გაძლიერების მომსწრე აფხაზებმა მხარდაჭერისთვის ახლობელ ჩრდილოეთ კავკასიელებს მიმართეს.[71] ვინაიდან გამსახურდიამ საქართველო სსრკ-დან გამოიყვანა, აფხაზებს არ სჯეროდათ რომ მათი ავტონომიური უფლებები დაცული იქნებოდა. ამგვარად, აფხაზეთის უზენაეს საბჭოში აფხაზმა დელეგატებმა 1990 წლის აგვისტოში რეგიონი სუვერენულ სსრ-ად გამოაცხადეს.[72] თბილისმა ეს აქტი ბათილად გამოაცხადა და ორივე მხარე განაგრძობდა საპირისპირო კანონების მიღებას. საქართველომ დამოუკიდებლობას 1991 წლის მარტში მისცა ხმა, ხოლო აფხაზეთი საკავშირო რეფერენდუმს შეუერთდა, 98%-მა მხარი დაუჭირა სსრკ-ს

---

[66] Rouvinski 2007: 130-136, 190ff.

[67] უნივერსიტეტს ქართული და აფხაზური სექტორი ჰქონდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ძირითადად დსწავლის ენადრუსულს იყენებდა.

[68] თბილისურ პრესაში გამოქვეყნებული ერთი ავადსახსენებელი ქართული სტატია ემხრობოდა არაქართველებისთვის თითოოჯახში არაუმეტეს ორი შვილის ყოლის იძულებას. (Kaufman 2001: 103).

[69] პეტიციას აფხაზეთის ბევრმა სომეხმა და რუსმა დაუჭირა მხარი. მას ხელი მოაწერა მათ შორის ზოგმა ადგილობრივმა ქართველმაც, მაგალითად, აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორმა (Cornell 2001: 152; Hewitt 2013: 66).

[70] Hewitt 2013: 62-77.

[71] Cornell 2002: 178.

[72] Zürcher, Christoph (2005: 90-92): “Georgia’s Time of Troubles, 1989-1993” in Bruno Coppieters& Robert Legvold (eds.) *Statehood and Security: Georgia after the Rose Revolution*. Cambridge: MIT Press. ეს არიყო დამოუკიდებლობის გამოცხადება; არამედ არსებობდა მოლოდინი რომ საქართველოსთან დიდებოდა კონფედერაციული ურთიერთობების დამყარებელი ხელშეკრულება.

შენარჩუნებას.[73] მხოლოდ აგვისტოში გამოჩნდა დროებითი გამოსავალი. შემდეგ გამსახურდიამ და მისმა აფხაზმა კოლეგამ მიაღწიეს შეთანხმებას, რომელიც როგორც ქართველებს, ასევე აფხაზებს რეგიონული პარლამენტის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე ვეტოს უფლებას ანიჭებდა.[74]

საქართველოს სომხურ და აზერბაიჯანულ უმცირესობებს, მიუხედავად იმისა, რომ კომპაქტურად ცხოვრობდნენ ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, სამხრეთ საქართველოში, არ გააჩნდათ ავტონომიური ინსტიტუტები, რომელთა საფუძველზეც შეძლებდნენ მობილიზებას. ამან შეამცირა მათ შესაძლებლობა გამოეხატათ თავიანთი უთანხმოება, მაგრამ გამსახურდიას ეთნიკური ნაციონალიზმი მაინც მძიმე უნდობლობას იწვევდა მათ თემებში. ზოგიერთი სომეხი, ძირითადად თბილისში, ცდილობდა დისკრიმინაციის თავიდან აცილებას, გვარის უფრო ქართული ჟღერადობის მიცემით.[75] გამსახურდიას მრგვალ მაგიდას გაუჭირდა ამომრჩევლის მოზიდვა ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, მაშინ როცა კომუნისტებმა — აჭარის მსგავსად — 1990 წლის საპარლამენტო არჩევნებში მაღალი შედეგი აჩვენეს.[76] 1991 წლის დამოუკიდებლობის რეფერენდუმზე სომხები და აზერბაიჯანელები ასევე ნაკლები ენთუზიაზმით იყვნენ განწყობილები, ვიდრე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი, ახალქალაქში მხოლოდ 52%-მა მისცა ხმა დამოუკიდებლობას, ხოლო მარნეულში 86%-მა.[77]

უფრო მეტიც, ორივე უმცირესობამ წინააღმდეგობა გაუწია გამსახურდიას მცდელობებს, ეკონტროლებინა მათი რეგიონები ცენტრიდან დანიშნული პრეფექტების მეშვეობით. ახალქალაქში ადგილობრივმა მოსახლეობამ ხელი შეუშალა ეთნიკური ქართველი პრეფექტების მიერ თანამდებობების დაკავებას, ხოლო მარნეულში ქართველი პრეფექტის არჩევის გამო გამოწვეული არეულობების გამო გამსახურდია იძულებული გახდა რეგიონში საგანგებო მდგომარეობა გამოეცხადებინა.[78] ქვემო ქართლმა შექმნა სახალხო ფრონტები — *ჯავახქი* და *გეირათი*, შესაბამისად, მათი განსხვავებული ინტერესების გასატარებლად. ეს მოძრაობები არ ატარებდნენ სეპარატისტულ დღის წესრიგს, მაგრამ ემხრობოდნენ რეგიონულ

---

[73] Kaufman 2001: 116.

[74] შეთანხმების საფუძველზე პარლამენტში 28 ადგილი აფხაზებს და ეთმო, 26 - ქართველებს და 11 მანდატი სხვა ეროვნებებს, ხოლო "მნიშვნელოვანი კანონმდებლობის" მისაღებად 2/3 კვორუმი ხდებოდა საჭირო.

[75] ავტორის ინტერვიუ გარეგინ გაბრელიანთან, "სომხური კავშირის - საიათნოვას" ხელმძღვანელთან, თბილისი, 2010 წლის 6 აგვისტო. Komakhia, Mamuka (2003a): “Armenian Population in Georgia”. Tbilisi: United Nations Association of Georgia.

[76] Nelson, Lynn D. & Paata Amonashvili (1992): “Voting and Political Attitudes in Soviet Georgia” in *Soviet Studies* 44 (4): 687-697.

[77] ეს საკმაოდ მაღალი შედეგები უნდა განვიხილოთ გამსახურდიას მუქარის გათვალსწინებით, რომელიც უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს მოქალაქეობისა და საკუთრების უფლებების ჩამორთმევით ემუქრებოდა იმ შემთხვევაში თუ დამოუკიდებლობაზე „არას“ იტყოდნენ; Cornell 2002: 163.

[78] Slider, Darrel (1997: 171ff): “Democratization in Georgia” in Karen Dawisha& Bruce Parrott (eds.) *Conflict, Cleavage, and Change in Central Asia and the Caucasus*. Cambridge: Cambridge University Press; Guretski, Voitsekh (1998): “The Question of Javakheti” in *Caucasian Regional Studies* 3 (1).

თვითგამორკვევას და მათ განკარგულებაში ადგილობრივი მილიციებიც ჰყავდათ, რათა შეეკავებინათ ქართული გასამხედროებული ჯგუფების მაროდიორობა.[79] ამრიგად, როგორც სომხური, ასევე აზერბაიჯანული სასაზღვრო რეგიონები ფაქტობრივად გამსახურდიას კონტროლის მიღმა რჩებოდა.[80]

შევარდნაძის დაბრუნება

1991 წლის ბოლოს გამსახურდიას წინააღმდეგობა შეხვდა არა მხოლოდ უმცირესობებისგან, არამედ ქართველებისგანაც. მხედრიონის მილიცია, მაფიოზის, დრამატურგისა და მეცნიერის ჯაბა იოსელიანის მეთაურობით, გამსახურდიას აკრიტიკებდა უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის გამო, რომელსაც იგი ოკუპაციის სიმბოლოდ თვლიდა. მას დამატებითი წინააღმდეგობა შეხვდა დევნილი კომუნისტებისგან და დემოკრატი ინტელექტუალების მხრიდან, რომლებიც იმედგაცრუებულნი იყვნენ გამსახურდიას ძალისხმევით, მოეხდინა ძალაუფლების მონოპოლიზება. მალე მისმა მოკავშირეებმაც კი, მათ შორის პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ და ეროვნული გვარდიის მეთაურმა თენგიზ კიტოვანმა დატოვეს გამსახურდიას ბანაკი.[81] კრიტიკოსების მძაფრმა დაგმობამ გააერთიანა მისი ოპონენტები და დეკემბრისთვის პროტესტი თბილისის ცენტრში ომში გადაიზარდა, როდესაც მხედრიონმა და ეროვნულმა გვარდიამ, შეიარაღებულმა ტანკებითა და არტილერიით, გამსახურდია ჩამოაგდო. ძალაუფლება ხელში ჩაიგდო თვითგამოცხადებულმა „სამხედრო საბჭომ“, რომელსაც კიტოვანი, იოსელიანი და სიგუა ხელმძღვანელობდნენ.[82]

საქართველო ჩავარდა „კვაზიშუასაუკუნეობრივ მდგომარეობაში, ცალკეული ფეოდალური მამულებით, რომლებსაც სხვადასხვა საველე მეთაურები მართავდნენ“.[83] ეს ეხებოდა არა მარტო ეთნიკურ საზღვრისპირა რეგიონებს, არამედ საქართველოს ცენტრს. დასავლეთ საქართველოში, გამსახურდიას მშობლიურ სამეგრელოში, აჯანყდნენ ჩამოგდებული პრეზიდენტის შეიარაღებული მხარდამჭერები, რომლებსაც „ზვიადისტები“ შეარქვეს. „მხედრიონი“ და „ეროვნული გვარდია“, რომლებიც

---

[79] 1990 წელს აზერბაიჯანელების მიერ სეცესიისთვის მზადების შესახებ ჭორების საფუძველზე ზოგიერთი ქართველ დისიდენტი წინა წლის „ცხინვალსკენ მსვლელობის“ მსგავსად, რამაც სამხრეთოსეთში დაძაბულობა გამოიწვია, „მარნეულსკენ მსვლელობას“ გეგმავდნენ. თუმცა, თბილისსა და ბაქოს შორის კონტაქტებმა გააქარწყლა ეს შიშები და მსვლელობა გაუქმდა, რითაც თავიდან იქნა აცილებული სავარაუდო ეთნიკური დაპირისპირება. Wheatley, Jonathan (2004: 13): “Obstacles Impeding the Regional Integration of the Javakheti Region of Georgia”, *ECMI Working Paper* No22. Flensburg: European Centre for Minority Issues; Wheatley, Jonathan (2005b: 13): “Obstacles Impeding the Regional Integration of the Kvemo Kartli Region of Georgia”, *ECMI Working Paper* No23. Flensburg: European Centre for Minority Issues.

[80] Hin 2003: 47.

[81] Nodia 1996.

[82] ზოგი ამტკიცებს, რომ გადატრიალების დაგეგმვას რუსეთმა შეუწყო ხელი, რაც შესაძლებელია, რადგან გამსახურდიას იბერიულ-კავკასიური მსოფლმხედველობა კავკასიაში რუსეთის გავლენისადმი წინააღმდეგობასა და ჩეჩნური სეპარატიზმის მხარდაჭერაში გადიზარდა. (იხ. Gordadze 2009: 30).

[83] Nodia, Ghia (1995: 111): “Georgia’s Identity Crisis” in *Journal of Democracy* 6 (1): 104-116.

თავიდანვე სასტიკი მეტოქეები იყვნენ, ლიდერების ერთგულებით იყვნენ დაკავებული და არა რაიმე საერთო მიზნებით, ხოლო მათი წევრები გამომძალველობით, რეკეტით, იარაღით ვაჭრობით, კონტრაბანდით და სხვა დანაშაულებრივი ქმედებებით ცხოვრობდნენ.[84] მართლაც, ჯაბა იოსელიანი იყო "კანონიერი ქურდი" — წამყვანი ფიგურა საქართველოს კრიმინალურ სამყაროში. მათი მმართველობისთვის ლეგიტიმურობის მინიჭების მიზნით, ტრიუმვირატმა ედუარდ შევარდნაძე მიიწვია, კომუნისტური საქართველოს ყოფილი ლიდერი (1972-1985) და სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი (1985-1990), რათა გამხდარიყო სამხედრო საბჭოს ფორმალური ხელმძღვანელი. 1992 წლის შუა რიცხვებში შევარდნაძის სტატუსმა საქართველოს საერთაშორისო აღიარების მოპოვების საშუალება მისცა, მაგრამ ახალი ლიდერი აურაცხელი გამოწვევების წინაშე იდგა.

სსრკ უკვე დაშლილი და საქართველო ქაოსში, მიმდინარე კონფლიქტის ფონზე სამხრეთ ოსებმა 1992 წლის იანვარში რეფერენდუმზე ხმა მისცეს რუსეთთან შეერთებას. იმავდროულად, რუსულმა სამხედრო ნაწილებმა უფრო ღიად დაიწყეს ოსების მხარდაჭერა, რის გამოც შევარდნაძე, რომელიც უმართავი ქართველი გასამხედროებული ძალებით იყო დაკავებული, არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ზეწოლის ქვეშ, მან 1992 წლის ივნისში ცეცხლის შეწყვეტას მოაწერა ხელი, რომელმაც სამხრეთ ოსეთის დიდი ნაწილი თბილისის კონტროლს მიღმა დატოვა და რომელიც ძირითადად რუსეთის მიერ განსაზღვრული სამშვიდობო შეთანხმების ზედამხედველობის ქვეშ იყო.[85]

პარალელურად, ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა აფხაზეთში. 1991 წლის აგვისტოს ხელისუფლების გაზიარების შეთანხმების მიუხედავად, აფხაზმა დეპუტატებმა გვერდი აუარეს ქართული მხარის ვეტოს უფლებას და ამ უკანასკნელმა პარლამენტის ბოიკოტს მიმართა. ამას გარდა, სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის გამო ეჭვქვეშ დადგა აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი. ამიტომ სოხუმმა აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუცია აღადგინა, რომელიც საქართველოსთან მხოლოდ თავისუფალ კონფედერაციას ითვალისწინებდა.[86] აფხაზებს შესაძლოა ეგონათ, რომ 1992 წლის ივლისი შესაფერისი დრო იყო ასეთი ნაბიჯისთვის, რადგან სამეგრელოში ზვიადისტების აჯანყებამ თბილისში საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ბუფერი შექმნა. მაგრამ 1992 წლის 14 აგვისტოს, სამეგრელო-აფხაზეთის საზღვრისპირეთში მოქმედი ზვიადისტებისგან რკინიგზის დაცვის საბაბით, ეროვნულმა გვარდიამ აფხაზეთის დასამორჩილებლად

---

[84] Baev, Pavel (2003: 133): “Civil Wars in Georgia” in Christoph Zürcher& Jan Koehler (eds.) *Potentials of Disorder: Explaining Conflict and Stability in the Caucasus and in the Former Yugoslavia*. Manchester: Manchester University Press; Slider, Darrel (1997: 165): “Democratization in Georgia” in Karen Dawisha & Bruce Parrott (eds.) *Conflict, Cleavage, and Change in Central Asia and the Caucasus*. Cambridge: Cambridge University Press.

[85] Cornell 2002: 166; Demetriou, Spyros (2002): “Rising From the Ashes? The Difficult (Re)Birth of the Georgian State” in *Development and Change* 33 (5): 859- 883.

[86] Kaufman 2001: 117f.

სრულმასშტაბიანი შეტევა დაიწყო.[87] დაიწყო სასტიკი ომი, რომელიც 1993 წლის სექტემბრამდე გაგრძელდა.[88] ქართულმა ძალებმა აიღეს სოხუმი, მაგრამ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგ აფხაზებმა ვითარება თავიანთ სასარგებლოდ შემოატრიალეს და რეგიონიდან განდევნეს ქართული ჯარი და 200 000-ზე მეტი ქართველი მშვიდობიანი მოქალაქე. კონფლიქტის დროს აფხაზებს ეხმარებოდნენ ჩეჩენი და ჩერქეზი მოხალისეები, ადგილობრივი სომხები, ასევე რუსული სამხედრო ნაწილები.[89]

მაგრამ ამ შედეგში თავისი წვლილი ქართულმა დივიზიებმაც შეიტანეს. 1993 წლის აგვისტოში სამეგრელოში ზვიადისტების აჯანყებამ ძალები მოიკრიბა, რითაც ეროვნული გვარდია ორ ფრონტიან ომში აღმოჩნდა.[90] ამ უკანასკნელის დამარცხების შემდეგ, გამსახურდია ჩეჩნეთში გადასახლებიდან დაბრუნდა, ხოლო ზვიადისტურმა ძალებმა, რომელიც გაძლიერებული იყო უკანდახეული ეროვნული გვარდიის იარაღითა და დეზერტირებით, დაიწყეს დიდი შეტევა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქს, ქუთაისს. სახელმწიფოს სრული კრახის წინაშე შევარდნაძემ გადაწყვიტა სამეგრელოში აჯანყების ჩასახშობად დახმარებისთვის რუსეთისთვის მიემართა. მაგრამ სანაცვლოდ მას საქართველო რუსეთის გავლენის სფეროში უნდა დაებრუნებინა: რუსეთმა მოიპოვა გავლენა შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და უშიშროების სამინისტროებზე და თანხმობა შეენარჩუნებინა თავისი სამხედრო ბაზები საქართველოში, რომელიც ასევე დსთ-შიც უნდა გაწევრიანებულიყო.[91] შედეგად, ქართველებმა პოლიტიკური სპექტრის ყველა მხარეს დაასკვნეს, რომ რუსეთმა გამოიყენა კონფლიქტები, რათა კონტროლი შეენარჩუნებინა თავის „ახლო საზღვარგარეთზე“. მაგრამ არ არსებობდა კონსენსუსი იმის თაობაზე, ვინ იყო დამნაშავე საქართველოს წარუმატებელ დამოუკიდებლობაში — გამსახურდია, შევარდნაძე თუ ორივე.[92]

---

[87] გაურკვეველია, ეს ქმედება შევარდნაძის ავტორიზებით მოხდა თუ კიტოვანის პირადი ინიციატივა იყო. Nodia 1997: 34; Wheatley 2005a: 72.

[88] სამხედრო დანაშაულები ორივე მხარემ ჩაიდინა. კულტურულ ომის ფარგლებში ქართულმა ჯარებმა ასევე გადწვეს გულასა აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი. (Rouvinski 2007: 79).

[89] ჩრდილოკავკასიელი მოხალისეები მოქმედებდნენ „კავკასიის მთიელხალხთა კონფედერაციის“ სახელით, ხოლო ადგილობრივი სომხები ორგანიზებულნი იყვნენ „ბაგრამიანის ბატალიონში“. Cornell 2001: 159; 2002: 169.

[90] Demetriou 2002: 873.

[91] Gordadze, Thornike (2009: 35): “Georgian-Russian Relations in the 1990s” in Svante E. Cornell and S. Frederick Starr (eds.) *The Guns of August 2008: Russia’s War in Georgia*. New York: M.E. Sharpe.

[92] მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძემ მიიღო გადწყვეტილება რუსეთის წინაშე დაჩოქებულიყო, გამსახურდამ ამას ხელი შეუწყო, რადგან ზვიადისტების აჯანყებამ აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში დასუსტა ეროვნული გვარდია. გარდა ამისა, აფხაზეთში ქართველების უმეტესობა მეგრელები იყვნენ, რომლებიც ეროვნულ გვარდიას არ უჭერდნენ მხარს (Nodia 1997: 37-39). მართლაც, გროზნოში გადასახლებისას გამსახურდია ურთიერთობდა კავკასიის მთიელხალხთა კონფედერაციაში ჩართულ აფხაზ და ჩეჩენ დელეგატებთან. (Korolov, Maria (1992): “Caucasus Confederation Threatens Georgia” in *The Moscow Times* (5 October).

მიუხედავად დამარცხებისა და დათმობებისა, შევარდნაძემ მოახერხა საქართველოს სტაბილიზება. ზვიადისტები 1993 წლის ბოლოს დაძლიეს, გამსახურდია კი მალევე გარდაცვლილი იპოვეს. 1994 წლის შუა რიცხვებისთვის ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტას სოხუმთან და რუსეთის ხელმძღვანელობით კონფლიქტის ხაზზე დსთ-ს სამშვიდობო ძალები განლაგდნენ, რომლის უკანაც აფხაზეთმა დე ფაქტო დამოუკიდებლობა მიიღო.[93] პარალელურად, შევარდნაძე მუშაობდა თანამედროვე პოლიტიკური ასპარეზის შესაქმნელად. 1992 წლის ოქტომბერში ჩატარებული არჩევნების შემდეგ მან პარლამენტი ხელახლა მოიწვია. შევარდნაძე სახელმწიფოს მეთაური გახდა და 1993 წელს მისი მხარდამჭერები საქართველოს მოქალაქეთა კავშირში (სმკ) გაერთიანდნენ — ეკლექტურ პარტიაში, რომელშიც შედიოდნენ ძველი ნომენკლატურის წევრები, კოოპტირებული ადგილობრივი მაღალი წრის წარმომადგენლები და ახალგაზრდა რეფორმატორები. 1995 წლისთვის შევარდნაძემ აჯობა იოსელიანს და კიტოვანს, განაიარაღა მათი მილიციები და აღადგინა წესრიგი. იმავე წელს მიღებულ იქნა ახალი კონსტიტუცია; ქართულმა ლარმა რუბლი ჩაანაცვლა; განახლდა გადასახადების მოკრძალებული აკრეფა; ხოლო შევარდნაძე პრეზიდენტი გახდა. მაგრამ სახელმწიფო ინსტიტუტები კორუფციით, კლიენტელიზმითა და ორგანიზებული დანაშაულით იყო მოცული.[94] პოლიტიკოსების, ბიზნესმენების და საჯარო მოხელეების ერთგულების სანაცვლოდ შევარდნაძემ თვალი დახუჭა ამ პრობლემებზე და კონკურენტ ჯგუფებს შორის არბიტრის როლს ასრულებდა. ამგვარად, სტაბილურობის სახელით აღდგა პატრონ-კლიენტური ურთიერთობის საბჭოთა სისტემა და ძველი ნომენკლატურული ელიტები, ამჯერად მოსკოვიდან საბიუჯეტო ტრანსფერების ნაცვლად კლიენტებს შორის გასაყოფი იყო საპრივატიზაციო რესურსები და საერთაშორისო დონორებისგან მიღებული დაფინანსება.

"დაე იძინონ მძინარე ძაღლებმა"

საქართველოში გასული წლებიდან ცნობილი „უბედურებისგან“ ანუ არეულობისგან თავის დასაღწევად შევარდნაძემ საუკეთესოდ მიიჩნია „მძინარე ძაღლების ტყუილი“. მან თავი შეიკავა ქართველი ეთნონაციონალისტების მომხრეებისაგან ან უმცირესობების გაუცხოებისგან, რათა არც ერთი მათგანის პროტესტი აღეკვეთა. შევარდნაძის მიზანი იყო უზრუნველყოს „მინიმალური თანმიმდევრულობა“, რაც საშუალებას მისცემს ქართული სახელმწიფოს არსებობას. ეს მოიცავდა რიტორიკულ გადასვლას სამოქალაქო ნაციონალიზმზე, როგორც ჟესტი უმცირესობების (და საერთაშორისო დონორი საზოგადოების) მიმართ, მაგრამ ტიტულოვანი ქართველების პრივილეგიების შენარჩუნებას ყოველგვარი პოლიტიკის განხორციელებისგან თავის შეკავებით, რამაც შეიძლება შეამციროს პრაქტიკაში ჩართვის ბარიერები.

---

[93] Cornell 2001: 162.

[94] Wheatley 2005a: 109-136.

“არეულობის ჟამიდან” გამოსასვლელად, როგორადაც საქართველოში მოგვიანებით წინა წლებს უწოდეს, შევარდნაძემ საუკეთესო გზად მძინარე ძაღლების არგაღვიძება მიიჩნია.[95] მან თავი შეიკავა ქართველი ეთნონაციონალისტების მხარდაჭერისგან ან უმცირესობების გაუცხოებისგან, რათა არ გამოეწვია რომელიმე მათგანის მათგანის პროტესტი. შევარდნაძის მიზანი „მინიმალური თანმიმდევრულობის“ უზრუნველყოფა იყო, რასაც საქართველოს სახელმწიფოს არსებობის შენარჩუნების შესაძლებლობა უნდა შეექმნა.[96] ეს მოიცავდა რიტორიკულ გადასვლას სამოქალაქო ნაციონალიზმზე, როგორც ჟესტს უმცირესობების (და საერთაშორისო დონორი საზოგადოების) მიმართ, მაგრამ ამავდროულად ტიტულური ქართველებისთვის პრივილეგიების შენარჩუნებას იმგვარი პოლიტიკების გატარებისგან თავის შეკავებით, რასაც პრაქტიკაში ინკლუზიის გზაზე დაბრკოლებები შეიძლებოდა შეემცირებინა.

ერთი მხრივ, შევარდნაძემ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მიიღო რამდენიმე ინკლუზიური კანონი. 1993 წლის მარტში ამოქმედდა კანონი მოქალაქეობის შესახებ, რომელიც ყველა მცხოვრებს მოიცავდა.[97] მმართველი პარტიის სამოქალაქო დისკურსი მის სახელშიც აისახა: საქართველოს მოქალაქეთა კავშირი.[98] ანალოგიურად, 1995 წლის კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულ იქნა „საქართველოს მოქალაქეების“ სახელით[99], ქართული ენა განისაზღვრა, როგორც ერთადერთი სახელმწიფო ენა[100] და მოქალაქეები გამოცხადდნენ თანასწორად „განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის“.[101] ეთნიკური ან რელიგიური სიძულვილის გავრცელება სისხლის სამართლის დანაშაულად იქცა, ხოლო სხვა კანონები საშუალებას აძლევდა უმცირესობებს თავიანთი კულტურის პოპულარიზებისთვის შეექმნათ ორგანიზაციები. ეროვნული ომბუდსმენის შექმნა და საერთაშორისო ხელშეკრულებები, როგორიცაა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის

---

[95] Nodia, Ghia (2002: 6): *Ethnic-Confessional Groups and Challenges to Civic Integration in Georgia: Azeri, Javakheti Armenian and Muslim Meskhetian Communities*. Tbilisi: CIPDD.

[96] Broers, Laurence (2005: 11): “Post-Coloniality and the Politics of Language in Post-Soviet Georgia”, Presented at the 10th Annual ASN Convention. New York: Columbia University.

[97] Jones, Stephen (2006: 260): “Georgia: Nationalism from under the Rubble” in Lowell W. Barrington (ed.) *After Independence: Making and Protecting the Na- tion in Postcolonial and Postcommunist States*. Ann Arbor: University of Michigan Press.

[98] Wheatley 2005a: 85.

[99] თუმცა, პრეამბულაში სახელმწიფოს ფორმირების საფუძვლად გამოცხადებულია „ქართველი ერის სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები“, რასაც უფრო ეთნიკური კონოტაციები აქვს. (Broers 2008: 282).

[100] 2002 წლის ოქტომბერში მიღებული კონსტიტუციური დებულებით (§8), აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზურ ენას ქართულთან ერთად ოფიციალური სტატუსი მიანიჭა. მაგრამ რეგიონის დე ფაქტო გამოყოფის გამო ამ პუნქტს მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

[101] §14; 38.

აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია, რომელზეც თბილისმა 1999 წელს მოაწერა ხელი, დამატებით გარანტიებს უზრუნველყოფდა.[102]

თუმცა, ცოტა რამ გაკეთდა უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის შესწავლად. 1997 წლის კანონი „საჯარო თანამდებობის შესახებ“ და 1999 წლის ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებდა, რომ საჯარო სერვისების შეთავაზება ქართულ ენაზე უნდა მომხდარიყო და საჯარო მოხელეები სამსახურიდან შეიძლება გათავისუფლებულიყვნენ მისი არცოდნის გამო.[103] მაგრამ ვერც ჯავახეთელ სომხებს და ვერც ქვემო ქართლელ აზერბაიჯანელებს არ შეეძლოთ ასეთი რეგულაციის შესრულება. შევარდნაძემ „არ იკითხო, არ თქვა“ [don't ask, don't tell] პოლიტიკას ატარებდა, რომელიც უმცირესობებს საშუალებას აძლევდა ოფიციალურ პირებთან ურთიერთობისას რუსული ენა გამოეყენებინათ, ეს შედეგი კი საბოლოო ჯამში არავის აკმაყოფილებდა.[104] ქართველები უნდა შეეგუებოდნენ საბჭოთა ლინგვა ფრანკას გამოყენებას, ხოლო საზღვრისპირა უმცირესობებს იურიდიულ ვაკუუმში უნდა ეცხოვრათ. 2001 წელს ეუთოს შემოთავაზების საფუძველზე მომზადდა ახალი კანონპროექტი ენების შესახებ, რომელიც რეგიონებში უმცირესობებს ქართულ ენასთან ერთად ადგილობრივი ენების ოფიციალური მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობას აძლევდა. თუმცა ამ პროექტმა დიდი განხეთქილებები გამოიწვია და 2002 წელს გაუქმდა.

მსგავსი ჩიხში შევიდა ეროვნულ უმცირესობათა შესახებ კანონპროექტთიც.[105] 1999 წელს საქართველოს გაწევრიანების გამო, ევროპის საბჭო მოელოდა, რომ თბილისი მიიღებდა დეტალურ კანონმდებლობას ეროვნული უმცირესობების უფლებების შესახებ. მაგრამ პარლამენტის სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა არ დაუსრულებია ინტეგრაციის კონცეფციაზე მუშაობა. უფრო მეტიც, შევარდნაძემ არც ხელი მოუწერია და არც რატიფიცირება გაუკეთებია რეგიონულ და უმცირესობათა ენების ევროპულ ქარტიაზე; მან ხელი მოაწერა, მაგრამ თავი შეიკავა ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის რატიფიცირებისგან. დეპუტატები ამტკიცებდნენ, რომ არსებული კანონმდებლობა შეიცავს საკმარის გარანტიებს და არ სურდათ საქართველოს უმცირესობებისთვის კომუნალური უფლებების მინიჭება, რადგან ეს აჩენდა მწვავე კითხვებს იმის შესახებ, თუ რომელი ჯგუფები კვალიფიცირდებოდნენ „ეროვნულ უმცირესობებად“ და უნდა ესარგებლათ თუ არა მათ მსგავსი ან რანჟირებული უფლებებით.

---

[102] Popjanevski, Johanna (2006: 28): "Minorities and the State in the South Caucasus: Assessing the Protection of National Minorities in Georgia and Azerbaijan". Silk Road Paper. Stockholm: Central Asia-Caucasus Institute

[103] Popjanevski 2006: 40.

[104] Broers, Laurence (2008): "Filling the Void: Ethnic Politics and Nationalities Policy in Post-Conflict Georgia" in *Nationalities Papers* 36 (2): 275-304.

[105] Broers 2008: 283.

ერთი რეფორმა, რომელიც შევარდნაძემ მართლაც გაატარა, თუმცა ყოყმანით, ეხებოდა ქართულ პასპორტებში ეროვნების ნიშნებს.[106] საბჭოთა პერიოდიდან შემორჩენილი, ეთნიკური წარმომავლობის ინდიკატორი ოფიციალური საიდენტიფიკაციო დოკუმენტებიდან 1999 წელს ამოიღეს. თუმცა ამ ინიციატივამ მწვავე საჯარო დებატები გამოიწვია. „რეფორმატორები“ დასავლურ სტანდარტებზე მიუთითებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ეთნიკურობის ინდიკატორმა შეიძლება მოქალაქეთა შორის პრივილეგირებული ჯგუფები წარმოშვას.[107] ინტელიგენცია და ნაციონალისტი პოლიტიკოსები საპასუხოდ ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს დემოგრაფიული ვითარება უნდა დაერეგულირებინა და რეფორმა ამ პროცესს გაართულებდა. თავად უმცირესობები ამ დებატებში არ მონაწილეობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძე თავის გამოსვლებში უფრო მეტად ნაციონალისტების მხარეზე იყო, დისკუსია 1999 წლის მარტში მინელდა. ამ რეფორმის კვალდაკვალ, საქართველოს შიგნით ეროვნული საზღვრები უფრო და უფრო გათხევადდა. უმცირესობებს ამიერიდან შეეძლოთ არა მარტო მოქალაქეები, არამედ ქართველებიც გამხდარიყვნენ; რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში თუ, მათ ქართველები ასეთებად მიიღებდნენ.

მიუხედავად ამისა, “მოსახლეობის დიდ ნაწილში ეთნიკური წარმომავლობა თვითიდენტიფიკაციის ძირითად ფაქტორად რჩებოდა, როგორც ქართველებში, ისე უმცირესობებში“[108]. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისადმი ერთგულება ეროვნული კუთვნილების გადამწყვეტ ნიშნად რჩებოდა. კომუნისტური წარსულისგან დისტანცირების მცდელობისას შევარდნაძე საქართველოში დაბრუნებიდან მალევე ეკლესიას შეუერთდა ნათლობის სახელით გიორგი.[109] მისი მმართველობის შემდგომ წლებში „ხშირად გამოითქვა მოსაზრება, რომ მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანი შეიძლება იყოს „ჭეშმარიტი“ ქართველი [...]“.[110] 2002 წელს ხელი მოეწერა კონკორდატს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის, რომელმაც ეკლესიასას სახელმწიფო დაფინანსება და მთელი რიგი პრივილეგიები მიანიჭა სხვა კონფესიებთან მიმართებაში. თუმცა, მართლმადიდებლური ეკლესიის წრეებმა, რომელსაც ეკლესიიდან განკვეთილი მღვდელი ხელმძღვანელობდა, თავიანთი რისხვა „არატრადიციული“ რელიგიებისკენ მიმართეს, უპირველეს ყოვლისა, იეჰოვას მოწმეებისკენ და სხვა ევანგელიკური მოძრაობებისკენ.[111] თუმცა, "ტრადიციული" კონფესიები, რომლებსაც საზღვრისპირა

---

[106] Reisner, Oliver (2010): “Between State and Nation Building: the Debate about Ethnicity in Georgian Citizens’ ID Cards” in Francoise Companjen, Laszlo Maracz & Lia Versteegh (eds.) *Exploring the Caucasus in the 21st Century*. Amsterdam: Pallas Publications.

[107] ეროვნების გრაფის ამოღების ინიციატორი და რეფორმატორთა შორის მთავარი ფიგურა საქართველოს მომავალი პრეზიდენტი:მიხეილსაკაშვილი იყო. (Amirejibi-Mullen 2011: 308).

[108] Metreveli, Ekaterine, Niklas Nilsson, Johanna Popjanevski & Temuri Yakobashvili (2009: 10): *State Approaches to National Integration in Georgia*. Silk Road Paper. Stockholm: Central Asia Caucasus Institute.

[109] Hewitt 2013: 119.

[110] Nodia 2009: 93.

[111] Jones 2006: 268;Broers 2008: 297.

უმცირესობების უმეტესობა ეკუთვნოდა, ზოგადად არ გამხდარან აგრესიის ობიექტები.[112]

გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობები აღარ იყვნენ გამორიცხული ოფიციალური ისტორიული ნარატივიდან, მათ მაინც უჭირდათ მასთან თავიანთი თავის დაკავშირება. შევარდნაძე თავის რიტორიკაში ხოტბას ასხავდა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის თანხმობას.[113] თუმცა, მან შეიკავა თავი მათი სახელმწიფოს დანაწევრებულობაში ეთნიკური ქართველების დადანაშაულებისგან. ქართველები წარმოდგენილები იყვნენ როგორც ბუნებრივად შემწყნარებლები და ვინაიდან ითვლებოდა რომ უმცირესობები ამ ინკლუზიურობით სარგებლობდნენ, ქვეყნის მრავალფეროვნება განიხილებოდა, როგორც ქართული სტუმართმოყვარეობის შედეგი.[114] სანაცვლოდ, სასკოლო ისტორიის სახელმძღვანელოებში მოხსენიებულები არიან გარე „მტრები“ და „მზაკვრული“ უმცირესობები, რომლებმაც მოიტაცეს „ძირძველი“ ქართული მიწები.[115]

საბოლოო ჯამში, უმცირესობებს არ ჰქონდათ თანაბარი პერსპექტივები შევარდნაძის საქართველოში. ანტიდისკრიმინაციული კანონები იშვიათად გამოიყენებოდა და მისი მმართველობის პერიოდში „ხელოვნური ბარიერების“ არსებობის გამო ცენტრალურ ხელისუფლებაში უმცირესობები არ იყვნენ წარმოდგენილები.[116] უმცირესობებს მწირი ჩართულობა ჰქონდათ ეროვნულ პოლიტიკურ პარტიებში და გამსახურდიას ეპოქის აკრძალვის გამო რეგიონული პარტიები ვერ იქმნებოდა. მთლიან მოსახლეობაში მათ წილთან შედარებით არაქართველები ცუდად იყვნენ წარმოდგენილნი პარლამენტში, რაც 1992-1995 წლებში საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატების მხოლოდ 2%-ს შეადგენდა; ხოლო 6% 1995-1999 და 1999-2003 წლების ყრილობებზე.[117] ამ დეპუტატების უმეტესობამ არ იცოდა ქართული ენა და თავიანთი მანდატები მმართველი პარტიის მხარდაჭერის გამო ჰქონდათ, რაც მათ საკანონმდებლო დებატებში მონაწილეობას ართულებდა.[118] არაქართველი დეპუტატების უპირველესი ფუნქცია საქართველოს მულტიკულტურალიზმისა და უმცირესობების სახელმწიფოსადმი ერთგულების ჩვენება იყო. თუმცა, პრაქტიკაში, უმცირესობები

---

[112] Nodia 2005: 77.

[113] Jones 2006: 274.

[114] ეს ინტერპრეტაცია ძალს სტუმართმოყვარეობის ტრადიციიდან იღებდა, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია ქართველთა უმეტესობის თვითშეგნებაში, როგორც ეს ანდაზაშია ასახული: „სტუმარი ღვთისაა“; Broers 2004: 203-209.

[115] აფხაზეთიდან ქართველ ლტოლვილები განსაკუთრებითაჟღერებდნენ ასეთი ნარატივებს და მხარს უჭერდნენ ძალადობას, როგორც კონფლიქტის მოგვარების საშუალებას. (Cornell 2001: 170); Rouvinski 2007: 161-163.

[116] Komakhia 2003a: 23; Popjanevski 2006: 46; Broers 2008: 293.

[117] ეს მაჩვენებლები ეფუძნება ჩვენს მიერ დეპუტატთა გვარების მიხედვით იდენტიფიცირებულ მათ ეთნიკურ კუთვნილებებს. დეპუტატთა სრული სია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე (Parliament of Georgia (2014): “Previous Parliaments of Georgia”. At: http://www.parliament.ge/en/saparlamento-saqmianoba/saqartvelos-wina-m- owvevis-parlamentebi-1317 (last accessed 13 June 2014).

[118] Komakhia, Mamuka (2009: 106): “Ethnic Minorities During the Transitional Period” in Lorenz King & Giorgi Khubua (eds.) *Georgia in Transition: Experiences and Perspectives*. Giessen: Peter Lang Verlag.

პასიურ სამართავ ობიექტებად რჩებოდნენ – და არა ეროვნული პოლიტიკური ასპარეზის აქტიური მონაწილეებად.

რეგიონალიზმი თავისით

საქართველოს ეროვნული ერთობა მყიფე იყო. მეგრელებსა და აჭარლებს განსხვავებული რეგიონული იდენტობები ჰქონდათ, მაგრამ ქართული ეროვნული პროექტისადმი ერთგულები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ საქართველოს აზერბაიჯანელები და სომხები სახელმწიფოს ნომინალურ ნაწილს წარმოადგენდნენ, მათ არ ჰქონდათ სოციალური მობილობის პერსპექტივები და იზოლირებულები რჩებოდნენ. ოსები და აფხაზები თავიანთ სეპარატისტულ სახელმწიფოებს ჩაეჭიდნენ.

შევარდნაძის საქართველოში სამეგრელოს გარკვეულწილად უხერხული პოზიცია ეკავა. მეგრელები მძიმედ დაზარალდნენ 1990-იანი წლების დასაწყისის კონფლიქტით: აფხაზეთიდან ლტოლვილთა უმეტესობა მეგრელები იყვნენ და მათი გამსახურდიას მხარდამჭერი პოზიციების გამო ისინიც სამოქალაქო ომის დამარცხებულ მხარეს აღმოჩნდნენ. ზვიადისტი პარტიზანები მოქმედებას აფხაზეთში ან მის შემოგარენში აგრძელებდნენ, ხოლო 1998 წელს სამეგრელოში აჯანყების მცდელობაც იყო.[119] მიუხედავად ამისა, არც ქართველებს და არც მეგრელებს არ დაუყენებიათ ეჭვქვეშ მათი არსებითი ქართველობა.[120] ქართველები მეგრულს განმარტავდნენ როგორც ქართულის უბრალო დიალექტს, თუმცა ჩამორჩენილს. ქალაქელი და ახალგაზრდა მეგრელები შესაძლებლობებს სტანდარტული ქართული ენის საშუალებით ეძებდნენ და ხაზს უსვამდნენ ეროვნულ ერთგვაროვნებას. ხანდაზმული და სოფლად მცხოვრები მეგრელები უფრო მეტად წუხდნენ თავიანთი კულტურის მარგინალიზებაზე და ქართველი ერის უფრო პლურალისტურ ხედვას ატარებდნენ.

იმავდროულად, რეგიონალიზმმა ღრმად გაიდგა ფესვები აჭარაში, სადაც ადგილობრივი ძლიერი ხელი, ასლან აბაშიძე, თურქეთთან ვაჭრობით და რუსეთთან — რომელსაც რეგიონში სამხედრო ბაზა ჰქონდა — პოლიტიკური კავშირებით იღებდა სარგებელს. ამან მას საშუალება მისცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში შეექმნა კერძო ჯარი და დაეფუძნებია ავტოკრატიული ფეოდი.[121] აბაშიძე დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა, რადგან ქვეყანაში მოდებულ გასამხედროებულ დაჯგუფებებს აკავებდა.[122] გარდა შეიარაღებული რეგიონალიზმისა, აბაშიძემ თავი შეიკავა

---

[119] Broers, Laurence (2001: 33): “Who are the Mingrelians? Language, Identity and Politics in Western Georgia”. Presented at the 6th Annual ASN Convention. New York: Columbia University.

[120] განსხვავებით, ვთქვათ, ინგუშეთისა და ჩეჩნეთისგან, რომლებიც გაიყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ მონათესავე ვაინახი ხალხები იყვნენ. Broers 2004: 212-245; Broers, Laurence (2012): “Two sons of one mother: Nested identities and centre-periphery politics in post-Soviet Georgia” in A. Schönle, O. Makarova, & J. Hicks (eds.) *When the elephant broke out of the zoo*. Stanford, CA: Berkeley Slavic Specialists.

[121] Cornell 2001: 165; Nodia 2005: 54ff.

[122] Berglund, Christofer (2013): “Georgia” in Sten Berglund, Joakim Ekman, Ke- vin Deegan-Krause & Terje Knutsen (eds.) *The Handbook of Political Change in Eastern Europe*. Cheltenham: Edward Elgar Publishing.

რელიგიური დაყოფების პოლიტიზებისგან და ამით განმუხტა დაძაბულობა ადგილობრივთა მუსულმურ *და* ქართულ იდენტობებს შორის.[123] ზოგიერთმა აჭარელმა, ძირითადად ახალგაზრდებმა და ქალაქებმა, მაინც გადაწყვიტეს თავიანთ "ავთენტურ" მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მოქცევა. ხანდაზმული და სოფლის მაცხოვრებლები ხშირად უფრო ერთგულები რჩებოდნენ ისლამისადმი, რასაც ბევრი ქართველი — და ზოგიერთი აჭარელიც კი — დაუმორჩილებლობის ნიშნად თვლიდა.[124] მიუხედავად ამ ფარული დაძაბულობისა, აჭარლები კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებდნენ საქართველოს ეროვნულ ქსოვილს.

ჯავახეთსა და ქვემო ქართლში შევარდნაძემ დაძლია ადგილობრივი სახალხო ფრონტები, ჯავახქი და გეირათი და მათი მოთხოვნები თვითგამორკვევის შესახებ. 1994 წელს მან საქართველო ცხრა მხარედ დაყოდ და თითოეულ მათგანს წმუნებული დაუნიშნა. სომხებით დასახლებული რაიონები (ჯავახეთი) ქართველებით დასახლებულ ოთხ რაიონს (სამცხე) შეუერთა სამცხე-ჯავახეთის სახით, ხოლო აზერბაიჯანელებით დასახლებული რაიონები რამდენიმე ქართველებით დასახლებულ რაიონთან შეაერთა ქვემო ქართლის მხარის სახით. შევარდნაძის პატრონ-კლიენტური ურთიერთობის ფარგლებში ამ მხარეებს გუბერნატორები გიგლა ბარამიძე და ლევან მამალაძე მართავდნენ. მოხდა ჯავახქისა და გეირათის მოძრაობის ლიდერების კოოპტაცია საჯარო სამსახურებში, რომლებიც მათ პირადი სარგებლისთვის შეეძლოთ გამოეყენებინათ, და სანაცვლოდ მათ უნდა უზრუნველეყოთ რომ უმცირესობების ხმა მმართველი პარტიის, საქართველოს მოქალაქეთა კავშირისკენ წავიდოდა, რომელმაც დიდი გამარჯვებები მოიპოვა სომხურ და აზერბაიჯანულ რაიონები.[125]

მიუხედავად ამისა, ადგილობრივები ეთნიკურ დისკრიმინაციას უჩიოდნენ. აზერბაიჯანელები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი ადგილობრივ ადმინისტრაციაში და აცხადებდნენ, რომ საჭირო კავშირების მქონე ქართველები იჯარით იღებენ დიდ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, შემდეგ კი მათ მიწის გაბერილ ფასებში ქვეიჯარით აღებას აიძულებდნენ. გარდა ამისა, აზერბაიჯანულენოვან სკოლებში მოსწავლეები იშვიათად სწავლობდნენ ქართულს და აზერბაიჯანული სახელმძღვანელოებით სწავლობდნენ, რამაც ისინი მათთვის მონათესავე სახელმწიფოს სფეროში მოაქცია.[126] ჯავახეთის სომხურენოვან სკოლებში მოსწავლეები კიდევ უფრო იზოლირებულები აღმოჩნდნენ. ისინი არ სწავლობდნენ სახელმწიფო ენას, სწავლობდნენ სომხეთიდან შემოტანილი სახელმძღვანელოებით და, ამას გარდა,

---

[123] Derluguian, Giorgi (1998: 280): "The Tale of Two Resorts: Abkhazia and Ad- jara Before and Since the Soviet Collapse" in Beverly Crawford & Ronnie D. Lipschutz (eds.) *The Myth of Ethnic Conflict: Politics, Economics, and Cultural Violence*. Berkeley: University of California Press.

[124] Pelkmans 2006: 91-141.

[125] Wheatley 2005b; Komakhia, Mamuka (2008): *Policy Analysis of Civil Integration of Ethnic Minorities in Georgia*. Tbilisi: BTKK – Policy Research Group.

[126] Komakhia, Mamuka (2003b): "Azerbaijani and Greek Populations in Georgia". Tbilisi: United Nations Association of Georgia.

ცხოვრობდნენ უფრო ჰომოგენურ ეთნო-რეგიონში, რომელიც თბილისიდან ბევრად შორს იყო. რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზამ, რომელიც ახალქალაქში იყო განლაგებული, ასევე დიდი გავლენა იქონია რეგიონზე. ეს იყო ჯავახეთის უმსხვილესი დამსაქმებელი, სოფლის მოსახლეობის პროდუქციის მთავარი ბაზარი და განიხილებოდა როგორც დამცავი საშუალება თურქებისა და ქართველი ნაციონალისტების წინააღმდეგ.[127] მიუხედავად იმისა, რომ სომხები კარგად იყვნენ წარმოდგენილები ადგილობრივ ადმინისტრაციაში, 1990-იან წლებში თვითგამორკვევისკენ მოწოდებები ისმოდა ხოლმე. დანგრეული ინფრასტრუქტურა, უმუშევრობა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები საქართველოს სახელმწიფოს მიმართ უკმაყოფილებას იწვევდა აზერბაიჯანელებში და, მით უფრო, სომხებში.[128]

ოსები ასევე ფიქრობდნენ იმაზე თუ რა მომავალი ელოდათ მათ საქართველოში. ცეცხლის შეწყვეტის კონტექსტში ცხინვალმა გააუქმა გადაწყვეტილება საქართველოსგან გამოყოფის შესახებ, ხოლო შევარდნაძემ გააუქმა გამსახურდიას გადაწყვეტილება რეგიონის ავტონომიური სტატუსის გაუქმების შესახებ და განაახლა ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ გამოყენება.[129] მხარეებმა ასევე მიაღწიეს შეთანხმებას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ვაჭრობა, რეკონსტრუქცია, ჰორიზონტალური გაცვლა და დევნილთა დაბრუნება.[130] ეს სოციალური დაახლოება აშკარა იყო სოფელ ერგნეთის ბაზარში, სადაც ქართველები და ოსები ერთმანეთთან კანონიერ და უკანონო ვაჭრობას ეწეოდნენ.[131] მიუხედავად ამისა, ამ ვაჭრობას შემოსავალი მოჰქონდა ნაღდი ფულისგან დაცლილი დე ფაქტო სახელმწიფოსთვის და მიუხედავად მეგობრული ურთიერთობისა, ეუთოს მიერ დაფინანსებულმა მოლაპარაკებებმა ვერ გადაწყვიტა სამხრეთ ოსეთის სტატუსი.

აფხაზები აშკარად მტრულად იყვნენ განწყობილები შევარდნაძის საქართველოში თავიანთი მომავლის მიმართ. ისინი მას უფრო მეტად ადანაშაულებდნენ თავიანთ გასაჭირის გამო, ვიდრე ოსები, რადგან კონფლიქტი აფხაზეთში შევარდნაძის მმართველობის ქვეშ გაჩაღდა. გაეროს მხარდაჭერით გამართულმა მოლაპარაკებებმა წარმატებას ვერ მიაღწია. სოხუმმა 1994 წელს მიიღო კონსტიტუცია, რომელშიც აფხაზეთი საერთაშორისო სამართლის სუბიექტ „სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ“ გამოაცხადა.[132] იმავდროულად, ფრონტის ხაზზე მოქმედებდნენ

---

[127] ჯერ კიდევ 1998 წელს, ადგილობრივმა მილიციამ, სახელდაპარვენცმა, ხელი შეუშალა ქართული ჯარების ტერიტორიაზე შესვლას. (Metreveli, Ekaterine; 2004: *The Dynamics of Frozen Tension: Case of Javakheti*. Tbilisi: Georgian Foundation for Strategic and International Studies); Nodia 2002: 36, 93.

[128] Wheatley 2004.

[129] Cornell 2001: 181f; Hewitt 2013: 181f.

[130] Sabanadze, Natalie (2002): “International Involvement in the South Caucasus”, *ECMI Working Paper* No15. Flensburg: European Centre for Minority Issues.

[131] Cornell, Svante E. (2006): “The Narcotics Threat in Greater Central Asia: From Crime-Terror Nexus to State Infiltration?” in *China and Eurasia Forum Quarterly* 4 (1): 37-67.

[132] Hewitt 2013: 162.

ქართული მილიციები, როგორიცაა „თეთრი ლეგიონი“ და „ტყის ძმები“.[133] ამან 1998 წელს გალის საზღვრისპირა რაიონში შეტაკებები გამოიწვია. დსთ-ს მიერ დაწესებული ემბარგოს[134] მიუხედავად, სოხუმმა თავისი პოზიცია 1999 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებით გააძლიერა. თითქმის არ ყოფილა წინსვლა ისეთ საკითხებში, როგორიცაა რეკონსტრუქცია და დევნილთა დაბრუნება ორივე მხრიდან სოციალური შუღლის გამო.[135] სოხუმის რუსულზე, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ენაზე დაყრდნობამ, მეგრელებსა და ქართველებს შორის უთანხმოების დათესვის მცდელობებმა,[136] თბილისის იმედგაცრუება გამოიწვია.[137] ეს განხეთქილება კიდევ უფრო გაღრმავდა, როდესაც აფხაზებმა და ოსებმა რუსული პასპორტების აღება დაიწყეს.[138]

სააკაშვილი და ვარდების რევოლუცია

2003 წლისთვის, შევარდნაძის მიერ შექმნილი სტაბილურობისადმი მადლიერებამ ადგილი დაუთმო უკმაყოფილებას გავრცელებული კორუფციის, გაფუჭებული ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური სტაგნაციის გამო. მას შემდეგ, რაც 2001 წლის სექტემბერში პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ ის პოლიტიკას მეორე ვადის შემდეგ დატოვებდა, მის პარტიაში რეფორმატორებმა შევარდნაძის წინააღმდეგ დაიწყეს პოზიციონირება.[139] იუსტიციის მინისტრმა მიხეილ სააკაშვილმა თანამდებობა დატოვა და მას პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია მიჰყვა. სააკაშვილმა *ნაციონალური მოძრაობა* დაარსა და 2002 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი მოიპოვა. თავის მხრივ, ჟვანიამ ჩამოაყალიბა *გაერთიანებული დემოკრატები*, რომელიც ბურჯანაძე-დემოკრატებად გადაიქცა მას შემდეგ, რაც მის ბანაკს შეუერთდა პარლამენტის სპიკერად მისი შემცვლელი ნინო ბურჯანაძე. ვინაიდან ბიზნეს მაგნატებმა იგრძნეს მომავალი ცვლილებების ქარი, თავიანთი ფსონების დადება ახალ ძალაუფლების მფლობელებთან დაახლოებით დაიწყეს.[140] იმავდროულად, 2003 წლის ნოემბრის

---

[133] Kukhianidze, Alexandre, Alexander Kupatadze& Roman Gotsiridze (2007): “Smuggling in Abkhazia and the Tskhinvali Region in 2003-2004” in Louise Shelley, Erik R. Scott & Anthony Latta (eds.) *Organized Crime and Corruption in Georgia*. New York: Routledge.

[134] აფხაზეთისა და რუსეთის ერთმანეთისგან გარკვეული დისტანცირება ჩეჩნეთის ომმა გამოიწვია, რომელშიც ორივეს განსხვავებული სიმპათიები ჰქონდათ.

[135] Cornell 2001: 178.

[136] აფხაზეთში დარჩენილი ქართველების უმეტესობა მეგრელია. ვინაიდან სოხუმს არ სურდა მათთვის კომუნალური უფლებების მინიჭება, იგი ამტკიცებდა, რომ მათი ნამდვილი მშობლიური ენა მეგრული იყო და სპორადულ დცდილობდა მისი გამოყენების ხელშეწყობას. ქართველები და მეგრელები ამ მცდელობებს აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ.

[137] Broers 2004: 186; Broers 2005.

[138] Hewitt 2013: 180.

[139] Mitchell, Lincoln A. (2004): “Georgia’s Rose Revolution”, *Current History* 103: 675; Mitchell, Lincoln A. (2009): *Uncertain Democracy: U.S. Foreign Policy and Georgia’s Rose Revolution*. Philadelphia: University of Pennsylvania Press.

[140] Radnitz, Scott (2010): “The Color of Money: Privatization, Economic Dispersion, and the Post-Soviet “Revolutions” in *Comparative Politics* 42 (2): 127-146.

საკანონმდებლო არჩევნების წინ მმართველი პარტია თავისი იმიჯის გამოსწორებას ახალი სახელით, *ახალი საქართველოსთვის*, ცდილობდა.

როგორც ბევრი ოპოზიციაში შიშობდა, არჩევნების დღეს მნიშვნელოვანი იყო არა ხალხი, ვინც ხმა მისცა, არამედ ხალხი, ვინც ხმებს დათვალა. ადმინისტრაციულ რესურსებზე წვდომის გამო, შევარდნაძის პარტიამ „ახალი საქართველოსთვის“ ხმების 21% მიიღო, ხოლო ასლან აბაშიძის „დემოკრატიული აღორძინების კავშირმა“ განაცხადა, რომ შთამბეჭდავი 19% მოიპოვა. არჩევნების გაყალბების მკაფიო მტკიცებულებებით აღჭურვილებმა, არა მხოლოდ ხმების პარალელური დათვლისა და ეგზიტპოლის შედეგებით, დაყოფილმა ოპოზიციურმა პარტიებმა (შალვა ნათელაშვილის *ლეიბორისტული პარტიის* გარდა) პარლამენტის წინ საპროტესტო აქციები წამოიწყეს. ვითარება ჩიხში შევიდა მას შემდეგ, რაც შევარდნაძემ არჩევნების გაყალბებული შედეგების საფუძველზე 2003 წლის 22 ნოემბერს ახალი პარლამენტი მოიწვია. მაგრამ სანამ პრეზიდენტი მისასალმებელ სიტყვას დაასრულებდა სააკაშვილის ხელმძღვანელობით მომიტინგეები პარლამენტში ვარდებით ხელში შეიჭრნენ — და შედეგად მომხდარი ხელისუფლების ცვლილება ცნობილი გახდა, როგორც "ვარდების რევოლუცია".

2004 წლის იანვარში ჩატარდა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები და მას შემდეგ, რაც სააკაშვილს პრაქტიკულად არ ჰყავდა კონკურენტი, მან ხმების 96% მოიპოვა. თანამდებობის დაკავებიდან მალევე, მან პარლამენტის მეშვეობით საკონსტიტუციო ცვლილებები გაატარა, რამაც გაზარდა პრეზიდენტის ბერკეტები საკანონმდებლო და სასამართლო შტოებზე.[141] ჟვანია პრემიერ-მინისტრი გახდა, ბურჯანაძე კი პარლამენტის თავმჯდომარედ დაბრუნდა, მაგრამ ორივე დაქვემდებარებულ პოზიციას იკავებდა გაძლიერებული პრეზიდენტის ინსტიტუტის მიმართ. მიუხედავად ამისა, ტროიკამ 2004 წლის მარტში საპარლამენტო არჩევნების წინ თავიანთი პარტიები ერთიან ნაციონალურ მოძრაობად გააერთიანა (ენმ). ნაციონალურმა მოძრაობამ ხმების ორი მესამედი მოიპოვა და 150 ადგილიდან 135 პროპორციული წესით იქნა არჩეული. აღსანიშნავია, რომ 2003 წლის ნოემბრის გაყალბებული არჩევნების შედეგად არჩეული 75 მაჟორიტარი დეპუტატის ხელახალი არჩევნები არ ჩატარებულა, მაგრამ — ვინაიდან ისინი იდეოლოგიისგან დაცლილები იყვნნე — ისინიც სააკაშვილის უკან დადგენ, რითაც მას აბსოლუტური საკანონმდებლო მხარდაჭერა მიანიჭეს.

თავისთვის მიჩენილი უზარმაზარი მანდატის გამოყენებით, სააკაშვილმა დაიწყო მისი წინამორბედის მიერ დატოვებული მყიფე სახელმწიფოს აღდგენა.[142] მან რეფორმები გაატარა იმ ინსტიტუტებში, რომლებსაც კრიმინალთან და კორუფციასთან უნდა ებრძოლათ, მაგრამ თავად იყვნენ გაჟღენთილი ამ უბედურებით. სამუშაოველი საგზაო პოლიცია, 16000 ოფიცრისგან შემდგარი კორპუსი, რომელიც ქრთამის აღებით

[141] Lanskoy, Miriam & Giorgi Areshidze (2008): “Georgia’s Year of Turmoil” in *Journal of Democracy* 19 (4): 154–168.
[142] Lanskoy, Miriam & Giorgi Areshidze (2008): “Georgia’s Year of Turmoil” in *Journal of Democracy* 19 (4): 154–168.

ირჩევდა თავს, ერთ ღამეში გაუქმდა. მათი ხელახალი დაქირავების პროცესის შედეგად, ქუჩებში სამუშაოდ პოლიციელების უფრო გამხდარი და პროფესიონალი კადრები გავიდნენ. ასევე შემცირდა საგადასახადო და საბაჟო უწყებები, რამაც პერსონალის მასიური გადახალისება გამოიწვია.[143] გარდამავალ პერიოდში საერთაშორისო დონორები მათი ხელფასების გადახდაში ეხმარებოდნენ. მაგრამ სააკაშვილმა შეიმუშავა გეგმა თუ როგორ უნდა შეევსო სახელმწიფო ხაზინა და დაებრუნებინა ნაძარცვი რესურსები. ამისთვის მან დაიწყო კორუმპირებული ჩინოვნიკებისა და მაფიის ბოსების დაპატიმრება და მათთვის საპროცესო გარიგებების შეთავაზება, რომლითაც მათ შეეძლოთ ეღიარებინათ დანაშაული და სახელმწიფოსთვის გადაეხადათ თავიანთი უკანონოდ მოპოვებული ფულიდან უზარმაზარი ჯარიმები, სანაცვლოდ, თავიდან აიცილებდნენ თითქმის გარდუვალ სასჯელს.[144] ამ სტრატეგიამ შეძლო იმ კორუმპირებული ელიტების ამოძირკვა, რომლებიც თავიანთ თანამდებობებს კრიმინალების დასაცავად იყენებდნენ — და სახელმწიფო ხაზინის შევსება.

შემდეგ სააკაშვილმა გაზარდა საჯარო მოხელეების ხელფასები, რამაც მათ საშუალება მისცა ქრთამის აღების გარეშე ეცხოვრათ. დრაკონულ ჯარიმებთან ერთად იმ თანამდებობის პირების წინააღმდეგ, რომლებიც ამას მაინც აკეთებდნენ, დამატებითი რეფორმები გატარდა, რომლებიც მიზნად ისახავდა ქრთამის აღების შესაძლებლობის შემცირებას.[145] გაუქმდა ასობით ლიცენზია და ნებართვა, რომელსაც ჩინოვნიკები ქრთამის აღების საბაბად იყენებდნენ. გადასახადები შემცირდა და გამარტივდა, რათა აღსრულებაში ნაკლები მანიპულაციის შესაძლებლობა ყოფილიყო, ხოლო ელექტრონული გადახდის სისტემების დანერგვამ კიდევ უფრო შეამცირა ქრთამის მოთხოვნის ან შეთავაზების შესაძლებლობები. ფარული სტუმრობებით აკონტროლებდნენ საჯარო მოხელეების პატიოსნებას. ამან შექმნა მორჩილ საჯარო მოხელეთა კადრები, რამაც ხელისუფლებას საშუალება საზოგადოებრივი სიკეთეებზე ზრუნვის საშუალება მისცა: დაეცა დანაშაულის მაჩვენებლები, დიპლომების ყიდვა აღარ შეიძლებოდა და დაიწყო დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები. თანამედროვე და კოორდინირებული სახელმწიფო აპარატის გაჩენით, ასევე

---

[143] Berglund 2013.

[144] კრიტიკოსებმა „ასეთუკანონოპრაქტიკებს“ „გამოსასყიდის მოთხოვნად“ მიიჩნევდნენ :Cheterian, Vicken (2008b: 704): “Georgia’s Rose Revolution: Change or Repetition? Tension between State-Building and Modernization Projects” in *Nationalities Papers* 36 (4): 689–712 სააკაშვილ ამტკიცებდა, რომ: „ყველა კორუმპირებულთა ნამდებობის პირს ციხეში ვერ დავტოვებდით-ძალიან ბევრნი იყვნენ. იმის ნაცვლად, რომ ისინი ციხეში მჯდარიყვნენ და გაკოტრებულსახელმწიფოს დამატებითი ხარჯი გაჩენოდა, სჯობდა მათი უკანონოდმოპოვებული ფული აგვეღო და გაგვეთავისუფლებინა“. (World Bank 2012: 97); Engvall, Johan (2012): “Against the Grain: How Georgia Fought Corruption and What it Means”. Silk Road Paper. Stockholm: Central Asia-Caucasus Institute.

[145] სააკაშვილმა შეამცირა ის, რასაც რუსები უწოდებენ "взяткоемкость", ანუ უნარი (емкость) გამოიყენო ორაზროვანი, მაგრამ ინვაზიური წესები მოქალაქეებისგან ქრთამის (взятка) ასაღებად. (Timm, Christian, 2010: 3: “Neopatrimonialism by default: state politics and domination in Georgia after the Rose Revolution”. Hamburg, 23 August 2010, paper presented at German Institute of Global and Area Studies (GIGA)

შესაძლებელი გახდა საქართველოს მორღვეული ეროვნული ქსოვილის აღდგენის მიზნით შემუშავებული პოლიტიკების გატარება.

"წინ დავით აღმაშენებლისკენ!"

სააკაშვილი დისტანცირდა საქართველოს ახლო წარსულის ეთნიკური ნაციონალიზმისგან და უფრო "სამოქალაქო" ნაციონალიზმს ემხრობოდა, სადაც კუთვნილება სახელმწიფო ენის ცოდნაზე იყო დამოკიდებული და ყველა ქართულად მოლაპარაკე — წარმომავლობის მიუხედავად — თანასწორი უნდა ყოფილიყო.[146] მოსახლეობაში ერის მშენებლობის ამ პროექტის განსამტკიცებლად, სააკაშვილი ხშირად მოიხსენიებდა ლიბერალ წინამორბედებს, როგორიც არის *ერის მამა* [pater patriae] ილია ჭავჭავაძე. მან ასევე გამოიყენა დევიზი „წინ დავით აღმაშენებლისკენ" რითაც თანამემამულეებს მოუწოდებდა, გაემეორებიათ შუა საუკუნეების ლეგენდარული მეფის, დავით აღმაშენებლის საქმეები, რომელმაც დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად გააერთიანა ქართული მიწები.

როგორც კიდევ ერთი სიმბოლური ნაბიჯი, ხელისუფლებამ სახელმწიფო სიმბოლიკები განაახლა. შეიცვალა 1918-21 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნილი დროშა, ეროვნული ჰიმნი და სახელმწიფო გერბი. ჰიმნ თავისუფლებასთან ერთად მიღებულ იქნა ხუთჯვრიანი წითელ-თეთრი დროშა, რომელიც საქართველოს შუა საუკუნეების ოქროს ხანაზე მიუთითებს, ხოლო სახელმწიფო გერბზე გამოსახეს წმინდა გიორგი სახელმწიფო დევიზით — ძალა ერთობაშია. სააკაშვილი თავის რიტორიკაში უმცირესობებსაც მიმართავდა. საინაუგურაციო სიტყვაში პრეზიდენტმა განაცხადა: „საქართველო არის სამშობლო არა მხოლოდ ყველა ქართველისთვის, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური უმცირესობისთვის. ყოველი მოქალაქე, რომელიც საქართველოს სამშობლოდ მიიჩნევს, იქნება ეს რუსი, აფხაზი, ოსი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ებრაელი, ბერძენი, უკრაინელი, ქურთი — ჩვენი უდიდესი სიმდიდრე და საგანძურია".[147] "ჩვენი პასუხისმგებლობაა", — გაიმეორა სააკაშვილმა სხვა ვითარებაში, "შევინარჩუნოთ მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური საქართველო, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს", მაშინაც კი, როცა "ერი და ეროვნება მხოლოდ ერთია — ქართველი, ის შედგება ქართველებისგან, აზერბაიჯანელი-ქართველებისგან, აფხაზი-ქართველებისგან, ოსი-ქართველებისგან, სომეხი-ქართველებისგან და ა.შ."[148]

სააკაშვილისა და მისი კოლეგების ბიოგრაფია გვეხმარება მათი ერთგულების ახსნაში ამ ღია აზროვნების ეროვნული პროექტისადმი. საბჭოთა ეპოქის ინტელიგენციისგან განსხვავებით, რომელმაც ეთნოცენტრული იდეები გააჩინა, საიდანაც წარმოიშვა

---

[146] Berglund, Christofer (2016): "Forward to David the Builder!" Georgia's (re)turn to language-centered nationalism" in *Nationalities Papers* (DOI: 10.1080/00905992.2016.1142519).

[147] Civil Georgia, 25 January 2004.

[148] Civil Georgia, 26 May 2007.

გამსახურდიას ექსკლუზივისტური ნაციონალიზმი, ახალი ელიტები ეკუთვნოდნენ ინტელექტუალების ახალგაზრდა თაობას, რომლებსაც დასავლური განათლება ჰქონდათ, იყვნენ ანგლოფონები და ლიბერალები.[149] მართლაც, ახალ ელიტებს ხან *პოტომაქდალეულებს* და ხან *მისისიპდალეულებს* ეძახდნენ — მათი *თერგდალეულებს* შორის ზოგი პროგრესული წინამორბედების კვალად. ეს ინტელექტუალები „არაქართველი ეროვნების წარმომადგენლებისადმი ბევრად უფრო ინკლუზიურები იყვნენ"[150] და შესაბამისად, პირადად იყვნენ დაინტერესებულები მხარი დაეჭირათ ქართველობის ინკლუზიური კონცეფციისთვის, როდესაც ისინი ვარდების რევოლუციის შემდეგ სამთავრობო თანამდებობებზე მოვიდნენ. ზოგიერთი ოპონენტი, რომელიც აკრიტიკებდა იმას, რასაც ისინი ეროვნული იდეის „განზავებად" აღიქვამდნენ, თავის მხრივ, აკრიტიკებდა სააკაშვილის მმართველობას, როგორც „არაეროვნულს" და „ანტიეროვნულს".[151]

მიუხედავად ასეთი კრიტიკისა, ოფიციალურმა პირებმა ხელი მოაწერეს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს იცავდნენ. 2005 წელს შევარდნაძის მმართველობის დროს ხანგრძლივი შეფერხების შემდეგ ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის (FCNM) რატიფიცირება მოხდა.[152] უფრო მეტიც, სააკაშვილმა შექმნა მთელი რიგი შიდა ინსტიტუტები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ერის მშენებლობის პროექტის სხვადასხვა ასპექტებთან გამკლავებაზე. პირველად მან დანიშნა სახელმწიფო მინისტრი ეროვნული თანხმობის საკითხებში, გურამ აბსანძე, რომელსაც დაევალა სამეგრელოში დარჩენილი ზვიადისტი აჯანყებულების განიარაღებაში დარწმუნება. 2004 წლის ბოლოს, ამ მისიის დასრულების შემდეგ, სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ზინაიდა ბესტაევამ დაიწყო მუშაობა სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოგვარების მიმართულებით. 2005 წელს სახალხო დამცველის ტოლერანტობის ცენტრთან ერთად შეიქმნა ეროვნულ უმცირესობათა საბჭო და რელიგიათა საბჭო, ხოლო 2006 წელს სააკაშვილმა პრეზიდენტის მრჩევლად სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში დანიშნა ანა ჟვანია.[153] მიუხედავად ამისა, ამ სტრუქტურებს თავიდანვე ჰქონდათ სერიოზული პრობლემები „უმცირესობათა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო ორგანოებს შორის კოორდინაციის ნაკლებობასთან დაკავშირებით".[154]

---

[149] Shatirishvili, Zaza (2003): "'Old' Intelligentsia and 'New' Intellectuals: The Georgian Experience" in *Eurozine* (26 June).

[150] Broers 2008: 287.

[151] Gavashelishvili, Elene (2012): "Anti-Modern and Anti-Globalist Tendencies in the Georgian Orthodox Church" in *Identity Studies* 4: 118-137.

[152] FCNM არგანსაზღვრავს „ეროვნულუმცირესობას". საქართველო ტერმინს იყენებს ჯგუფებზე, რომლებიც არიან: (1) მოქალაქეები; (2) განსხვავდებიან უმრავლესობისგან კულტურულად, ეთნიკურად ან ენობრივად; (3) მჭიდროდ არიან დასახლებული საქართველოს ტერიტორიაზე; და (4) იქ დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ.

[153] Sordia, Giorgi (2009): "Institutions of Georgia for Governance on National Minorities: An Overview", *ECMI Working Paper* No*43*. Flensburg: European Centre for Minority Issues.

[154] Metreveli et al 2009: 25.

მისი მეორე ვადის განმავლობაში სააკაშვილმა შექმნა რეინტეგრაციის სახელმწიფო სამინისტრო თემურ იაკობაშვილის ხელმძღვანელობით, რომლის მანდატი მოიცავდა სეპარატისტულ რეგიონებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ასევე საქართველოს სომხურ და აზერბაიჯანულ ეთნო-რეგიონებს. ტანდემში, სააკაშვილის ახალი მრჩეველი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში, თამარ კინწურაშვილი, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან არსებული სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტობის საბჭოს თავმჯდომარე გახდა. 2009 წლის მაისში მათ მუშაობას მოჰყვა „ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის“ დამტკიცება.[155] ეს დოკუმენტი ერის მშენებლობის გენერალური გეგმის ფუნქციას ასრულებდა. მან გამოავლინა ექვსი სფერო — კანონის უზენაესობა; განათლება და სახელმწიფო ენა; მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა; სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია; და კულტურა და იდენტობის შენარჩუნება — რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო უწყებებს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით უნდა განეხორციელებინათ პროგრამები. ყოველთვიურად ეს უწყებები ექვემდებარებოდნენ რეინტეგრაციის სახელმწიფო სამინისტროს უწყებათაშორის კომისიას, სადაც მინისტრის მოადგილე ელენე თევდორაძე კოორდინაციას უწევდა მათ განხორციელებას. და ყოველწლიურად მინისტრის მოადგილე ანგარიშს აბარებდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტობის საბჭოს, სადაც სააკაშვილის მრჩეველი აკვირდებოდა პროგრესს. ამ ერის მშენებელმა ჩინოვნიკებმა გამოყვეს (1) შემწყნარებლობა და (2) საერთო ენა, როგორც მნიშვნელოვანი ინგრედიენტები სოციალური და გეოგრაფიული მობილურობის გასაადვილებლად — და შესაბამისად: ინტეგრაციის მისაღწევად.

ერთი მხრივ, ისინი ცდილობდნენ უმცირესობების მიმართ შემწყნარებლობა ეჩვენებინათ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ არსებული აკრძალვები გარკვეულ სფეროებში გამკაცრდა, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსში. 2005 წლის კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ გაჩნდა პუნქტი „ნეიტრალურობისა და არადისკრიმინაციის შესახებ“ (მუხლი 13). მსგავსი ფრაზები დაემატა 2004 წლის კანონს უმაღლესი განათლების შესახებ (მუხლი 3) და 2006 წლის შრომის კოდექსს (მუხლი 2). სახალხო დამცველის ოფისმა შექმნა ფილიალები ახალქალაქსა და მარნეულში, რათა იქაურ უმცირესობებს არასათანადო მოპყრობის შემთხვევებში სამართლიანობის პოვნაში დახმარებოდნენ.[156] FCNM და ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა ითარგმნა და

---

[155] UNAG (2010): *Assessment of Civic Integration of National Minorities*. Tbilisi: United Nations Association of Georgia.

[156] GoG (2007): “Report Submitted by Georgia Pursuant to Article 25, Paragraph 1 of the Framework Convention for the Protection of National Minorities”. ACFC/SR(2007)001. Strasbourg: Council of Europe; GoG (2009): “Comments of the Government of Georgia on the First Opinion of the Advisory Committee on the Implementation of the Framework Convention for the Protection of National Minorities by Georgia”. GVT/COM/I(2009)002. Strasbourg: Council of Europe; GoG (2012): “Second Report Submitted by Georgia Pursuant to Article 25, Paragraph 2 of the Framework Convention for the Protection of National Minorities”. ACFC/SR/II(2012)001. Strasbourg: Council of Europe.

გავრცელდა ეთნო-რეგიონებში. ოფიციალური პირები ასევე ცდილობდნენ უმცირესობებისთვის ინფორმაცია მიეწოდებინათ ყოველკვირეული გაზეთების მეშვეობით და ყოველდღიური 10 წუთიანი საინფორმაციო გადაცემების გაშვებით რადიოში და საზოგადოებრივ მაუწყებელზე სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე. 2010 წელს შეიქმნა რუსულენოვანი ტელეარხი *Первый Кавказ*. გარდა ამისა, საზოგადოებრივი მაუწყებელი უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით ქმნიდა გადაცემებს, როგორიცაა *ჩვენი საქართველო* და *ჩვენი ეზო*. დაბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო აფინანსებდა მუზეუმებს, თეატრებს და ფესტივალებს, სადაც უმცირესობები იყვნენ წარმოდგენილები.[157]

თუმცა, მაშინაც კი, როცა ოფიციალური პირები ცდილობდნენ ეროვნული იდეის ლიბერალიზაციას, ეთნორელიგიურმა წრეებმა მთავარ განმსაზღვრელ ეროვნულ ელემენტებად ტრადიცია და რელიგია წამოწიეს. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას (სმე) მოწონების სულ უფრო მაჩვენებლები ჰქონდა, რაც 2003 წელს 38,6%-დან 2008 წელს 86,6%-მდე გაიზარდა.[158] *მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა* და *წმინდა დავით აღმაშენებლის საზოგადოების* რელიგიური რადიკალები თავიანთ თავზე სიფხიზლის ჯგუფების როლს იღებდნენ და საფრთხეს უქმნიდნენ რელიგიურ თავისუფლებას.[159] მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური პირები ფრთხილობდნენ, რომ არ გაეკრიტიკებინათ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, დაძაბულობა დუღილის ტემპერატურაზე იყო, რაც ზღუდავდა შემწყნარებლობის დანერგვის ზემოაღნიშნული მცდელობებს.[160] საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არა მხოლოდ სიმბოლური პრივილეგიები ჰქონდა,[161] არამედ იურიდიულ სფეროში განსაკუთრებული მოპყრობითაც სარგებლობდა. მას ჰქონდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ) სტატუსი და იღებდა საგადასახადო შეღავათებს, ასევე უხვ გადარიცხვებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.[162] მაგრამ სააკაშვილმა სათამაშო მოედანი მოასწორა. მან დააკავა სიფხიზლის ჯგუფის ლიდერები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ "არატრადიციული" კონფესიების წინააღმდეგ თავდასხმებზე და გაატარა რეფორმები, რომლებიც სასულიერო გაერთიანებებს საშუალებას აძლევს სსიპ-ებად დარეგისტრირდნენ.[163] თუმცა, საბჭოთა კავშირის დროს ნაციონალიზებული

---

[157] SMR (2014): *Assessment Document on the Implementation of the National Concept for Tolerance and Civic Integration and Action Plan for 2009-2014*. Tbilisi: UNAG.

[158] Nijaradze, Giorgi (2008: 3): “Religion und Politik in Georgien: Eine Umfrage unter der Stadtbevölkerung”, Politischer Dialog Südkaukasus. Tbilisi: Konrad Adenauer Stiftung.

[159] Wikileaks (2009a): “Georgia: Radical Orthodox Groups Stops Mosque Construction; Local Authorities Support Azeri Community”, Cable 9TBILISI1757. At http://www.wikileaks.org/plusd/cables/09TBILISI1757_a.html (last accessed: 11 November 2014).

[160] Wikileaks (2009b): “Georgia: Church and State, Maintaining a Delicate Balance”, Cable 09TBILISI2106. At http://www.wikileaks.org/cable/2009/12/09T- BILISI2106.html (last accessed: 1 November 2014).

[161] სახელმწიფო დროშაზე ხუთი ჯვარი, რა თქმა უნდა, ქრისტიანული სიმბოლოა. მართლმადიდებლური მეტაფორები ასევე გაჟღერდა ახალ ეროვნულ ჰიმნში, რომელიც შემდეგი სტრიქონით იწყება: „ჩემი ხატია სამშობლო და სახატე მთელ ქვეყანა“.

[162] Tsintsadze, Khatuna (2007): “Legal Aspects of Church-State Relations in Post-Revolutionary Georgia” in *Brigham Young University Law Review* 3: 751-774.

[163] Civil Georgia, 13 March 2004; Civil Georgia, 7 July 2011.

რელიგიური ქონების დაბრუნებაზე მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენის გამო, სადავო საკუთრება (უპირველესად სომხური ეკლესიები) უყურადღებობის გამო დროთა განმავლობაში გაპარტახდა. და, მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონით აკრძალული იყო, მასწავლებლები საჯარო სკოლებში მაინც ეწეოდნენ პროზელიტიზმს.[164]

უმცირესობებს ასევე უჭირდათ წარსულის მოგონებების შეჯერება სააკაშვილის, ხშირად ინსტრუმენტულ, ისტორიულ დისკურსთან. მისმა ლაიტმოტივმა რუსეთი დაასახელა, როგორც მტრული „სხვა“, რომელიც წარმოადგენს ჩამორჩენილ წარსულს, საიდანაც საქართველო უნდა გაქცეულიყო, რათა დაბრუნებულიყო — და ამით აღესრულებინა — მისი ნამდვილი ევროპული „თვითობა“. ამგვარად, ოფიციალური პირები საქართველოს საბჭოთა და რუსულ წარსულს ემიჯნებოდნენ და ქვეყნის ისტორიულ და ახლანდელ უბედურებებს ამ ავთვისებიან გავლენას მიაწერდნენ.[165] ეს ნარატივი ოფიციალურ პირებს ხშირად უბიძგებდა უგულებელყოთ საქართველოს ეთნიკური კონფლიქტები, როგორც „იმპერიული იდეოლოგების“ მიერ „ხელოვნურად პროვოცირებული“ და 1990-იან წლებში ქართველებში გავრცელებულ ქსენოფობიას, როგორც ხელშემწყობ ფაქტორს, უგულებელყოფდნენ.[166] ზოგიერთ სასკოლო სახელმძღვანელოში ასევე მოცემულია წარსულის საკუთარი თავისთვის სასარგებლო ინტერპრეტაციები. მაგალითად, მე-9 კლასელებისთვის განკუთვნილი ერთი სახელმძღვანელო საქართველოს მრავალეთნიკურ სტრუქტურას „ქართველების სხვა ეროვნებების მიმართ ძირძველი შემწყნარებლობის“ შედეგად ხსნიდა.[167] თუმცა, ოფიციალურმა პირებმა ამ სახელმძღვანელოების ნაკლებად ეთნოცენტრული სახელმძღვანელოებით ჩანაცვლება დაიწყეს და მიღებულ იქნა რეგულაციები სახელმძღვანელოებში არსებული მიკერძოებული შინაარსების შესამოწმებლად.[168]

გარდა ამ ამბიციური, მაგრამ არასრულფასოვანი ძალისხმევისა ეჩვენებინათ შემწყნარებლობა, სააკაშვილის ერის მშენებლები ცდილობდნენ უმცირესობების ქართველებთან ურთიერთობის წახალისებასა და მათ ენასთან ადაპტაციას. იმის გამო, რომ აფხაზები და ოსები სახელმწიფოს ხელმისაწვდომობის მიღმა იყვნენ, ეს

---

[164] International Religious Freedom Report (2011): “Georgia”. Washington D.C.: State Department. At: http://www.state.gov/j/drl/rls/irf/religiousfreedom/in- dex.htm?dlid=192811 (last accessed 5 November 2014).

[165] სხვა ნაბიჯებთან ერთად, ხელისუფლებამ შეზღუდა საბჭოთა სიმბოლოები, თბილისში გახსნა საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი და 25 თებერვალი, როდესაც საქართველო წითელ არმიის ხელში ჩავარდა, საბჭოთა ოკუპაციის დღედ გამოაცხადა; Kolstø, Pål & Aleksander Rusetskii (2012): “Power Differentials and Identity Formation: Images of Self and Other on the Russian-Georgian Boundary” in *National Identities* 14 (2): 139-155.

[166] Kutelia, Batu (2007): “Georgia will be accepted into NATO with its full terri- torial integrity intact” in *Defence Today* No1. Ministry of Defence of Georgia: Tbilisi.

[167] Pääbo, Heiko (2011: 192): *Potential of Collective Memory Based International Identity Conflicts in Post-Imperial Space: Comparison of Russian Master Narra- tive with Estonian, Ukrainian and Georgian Master Narratives*. PhD diss. Tartu: Tartu University Press.

[168] Gundare, Ieva (2007): “The Teaching of History in Georgia: With A Special Focus on the Armenian and Azeri Minorities and their Representation in Georgian History Textbooks” in *History Teaching in Georgia*. Geneva: CIMERA; Gigineishvili, Levan (2007): “Post-reform History Textbooks in Georgia: Changing Patterns and the Issue of Minorities in Georgian History” in *History Teaching in Georgia*. Geneva: CIMERA; SMR 2014: 49.

ძალისხმევა მიმართული იყო ჯავახეთის სომხებზე და ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებზე. ჩინოვნიკებს განსაკუთრებით სომხეთის შორეული საზღვრისპირეთის დაკავშირება სურდათ. 2006 წელს ხელისუფლებამ ახალქალაქიდან ახალციხემდე გზის შეკეთება დაიწყო.[169] მომდევნო წლებში ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს ფონდმა 203 მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის საგზაო ქსელის აღდგენაზე, რითაც ჯავახეთიდან თბილისში მგზავრობის დრო 6-7-დან 3-3,5 საათამდე შემცირდა. ხოლო სააკაშვილის ანტიკორუფციული კამპანიის წყალობით, უმცირესობებს, რომლებიც ამ გზებით სარგებლობდნენ, აღარ უწევდათ საგზაო პოლიციისთვის ქრთამის მიცემა. მიუხედავად იმისა, რომ სომხებს ეკონომიკური პრობლემები შეექმნათ მას შემდეგ, რაც რუსეთმა თავისი სამხედრო ბაზა ახალქალაქიდან გაიყვანა და სავიზო ბარიერები დააწესა საქართველოს მოქალაქეებისთვის, საქართველოში ვაჭრობისა და ბიზნესის ახალი შესაძლებლობები ჩნდებოდა. უფრო მეტიც, ბაქოდან თბილისამდე რკინიგზის მშენებლობა ახალქალაქიდან ყარსამდე ამ ოდესღაც იზოლირებულ რეგიონს სატრანსპორტო კვანძად გადაქცევას ჰპირდებოდა.[170]

საზღვრისპირა და ცენტრალური რეგიონების ეთნოსებსშორისი ურთიერთობები უფრო ინტენსიური გახდა, და ვინაიდან ქართველთა ახალგაზრდა თაობამ რუსული ენის ცოდნა დაკარგა, ენობრივი ხიდის საჭიროების მნიშვნელობა უფრო გაიზარდა. სააკაშვილის ერის მშენებლებს სურდათ, რომ ქართული ენა გამხდარიყო ეს მაკავშირებელი. ამგვარად, ოფიციალურმა პირებმა ენაზე არსებული კანონების აღსრულება დაიწყეს, რომლებიც შევარდნაძის მმართველობის დროს უგულვებელყოფილი იყო და რომლებიც საჯარო მოხელეებს თავიანთი მოვალეობების შესრულებას სახელმწიფო ენაზე ავალდებულებდა.[171] სომხურ და აზერბაიჯანულ ეთნო-რეგიონებში საჯარო მოხელეებს მოეთხოვათ პროფესიული ტესტების გავლა, რომლებიც შექმნილია მათი სახელმწიფო ენის ცოდნისა და მათი თანამდებობის შესაბამისი სხვა კომპეტენციების გამოსავლენად. თუმცა, მოკლევადიან პერსპექტივაში ქართულის შესწავლის ხელმისაწვდომობის გარეშე, საჯარო სამსახურში მყოფი უმცირესობები თვლიდნენ, რომ ეს მოთხოვნები საფრთხეს უქმნიდა მათ კარიერულ პერსპექტივებს. მის მეორე ვადაში სააკაშვილმა ამ კანონების აღსრულება შეამცირა. ამის ნაცვლად, მან უზრუნველყო ქართული ენის კურსების გაფართოებული წვდომა ეთნო-რეგიონებში არსებულ სპეციალურ ენის სახლებში და ქუთაისის ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლაში.[172]

იმავდროულად, ოფიციალურმა პირებმა გააძლიერეს ძალისხმევა უმცირესობების მომავალი თაობების ინტეგრირებისთვის. სახელმძღვანელოები ითარგმნა სომხურ და

---

[169] Civil Georgia, 19 April 2006.

[170] ამას გარდა, ინფრასტრუქტურულმა ინვესტიციებმა, როგორიცაა გაზსადენების გაფართოება საზღვრისპირა რეგიონებში, უმცირესობებისთვის ცხოვრება უფრო ასატანი გახადა.

[171] 1997 Law on Public Service, Art. 12; 1997 Law on General Courts, Art. 10; 1999 Administrative Code, Art. 14.

[172] GoG 2012.

აზერბაიჯანულ ენებზე, რათა ჩაენაცვლებინათ მონათესავე სახელმწიფოებიდან გამოგზავნილი სახელმძღვანელოები და უზრუნველყოფილიყო ეროვნული სასწავლო გეგმის მიყოლა. შეიმუშავეს ახალი სახელმძღვანელოები ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისთვის. 2010/11 წლიდან გარკვეული საგნები — მათ შორის ისტორია, გეოგრაფია და სოციალური მეცნიერებები — არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენაზე უნდა ესწავლებინათ. რამდენიმე სკოლაში ხელისუფლებამ ასევე სცადა პარალელურად სწავლების რამდენიმე ენის შემოღება. თუმცა, ამ რეფორმების განხორციელება რთული იყო კვალიფიციური მასწავლებლების დიდი დანაკლისის გამო.[173] უფრო მეტიც, უმცირესობები ხშირად ვერ ახერხებდნენ უნივერსიტეტებში შესვლას, რადგან ჩასარიცხად საჭირო იყო ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარება, რომელიც მოიცავდა ტესტს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ოფიციალურმა პირებმა აფირმატიული ქმედების სქემის მეშვეობით ეს ბარიერი 2010 წელს გააუქმეს. სპეციალური კვოტების წყალობით, სტუდენტები, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდას სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე აბარებდნენ, შეიძლება დაშვებულიყვნენ ზოგადი უნარების ტესტის შედეგების საფუძველზე და შემდეგ, ქართულ ენაზე საუნივერსიტეტო სწავლის გაგრძელებამდე, გაევლოთ სახელმწიფოს დაფინანსებული ერთწლიანი ქართული ენის პროგრამა.

რეგრესი და პროგრესი

სააკაშვილის ამბიციას მოეწესრიგებინა ურთიერთობები საქართველოს გაუცხოებულ საზღვრისპირეთთან არაერთგვაროვანი წარმატებით ხვდა. 2004 წლის იანვარში, სააკაშვილის ინაუგურაციისთანავე, მისმა სახელმწიფო მინისტრმა ეროვნული თანხმობის საკითხებში სამეგრელოში მიმალვაში მყოფი ზვიადისტი მეამბოხეები დაარწმუნა, რომ ხელი მოეწერათ ეროვნული თანხმობის დეკლარაციისთვის. 1990-იანი წლების დასაწყისის ძმათამკვლელი სამოქალაქო ომის ჭრილობების მოშუშების მიზნით, სააკაშვილმა მოგვიანებით გამსახურდიას ცხედარი გროზნოდან თბილისში გადმოასვენა. მან თქვა: „დღეს არის დაფიქრების მომენტი. [...] საქართველო პატივს მიაგებს მათ, ვინც იბრძოლა მისი დამოუკიდებლობისთვის. ამავე დროს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ და ხაზს ვუსვამთ, რომ ჩვენი ქვეყანა ეკუთვნის ყველა ადამიანს, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა [...]. საქართველო ეკუთვნის საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნიკურ ჯგუფს“.[174] ამასობაში, როგორც თბილისში, ასევე სამეგრელოში მეგრელები შეუფერხებლად ინტეგრირდნენ ქართულ საზოგადოებაში.[175]

2004 წლის მაისში, მოლაპარაკებების ინტენსიური პერიოდისა და დაძაბულობის ესკალაციის შემდეგ, ასლან აბაშიძე იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი

[173] UNAG 2010; SMR 2014: 48-60.

[174] Civil Georgia, 31 March 2007.

[175] Dragojevic, Marko, Christofer Berglund & Timothy Blauvelt (2015): “Attitudes Toward Tbilisi- and Mingrelian-Accented Georgian Among Georgian Youth: On the Road to Linguistic Homogenization?” in Journal of Language and Social Psychology 34 (1): 90-101.

დასაყრდენი აჭარაში. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონმა შეინარჩუნა ოფიციალური ავტონომიური სტატუსი, ის ფაქტობრივად პირდაპირი ცენტრალური ზედამხედველობის ქვეშ მოქცეა.[176] თუმცა ამას ადგილობრივების პროტესტი არ მოჰყოლია. არავითარი ეთნიკური განსხვავება არ აშორებდა აჭარლებს ქართველებისგან და — მიუხედავად პერიოდული დაძაბულობისა — რელიგიური განხეთქილება სულ უფრო და უფრო ნაკლებად იკვეთებოდა, რადგან სულ უფრო მეტი ადგილობრივი ისლამიდან ქართულ მართლმადიდებლობაზე მოექცა.[177]

ამ წარმატებებმა თბილისი შეაგულიანია მოეხდინა სამხრეთ ოსეთის რეინტეგრაციაც. ოფიციალურმა პირებმა ერგნეთის ბაზრობაზე კონტრაბანდული ვაჭრობა აღკვეთეს, სეპარატისტული რეჟიმის შემოსავლის ძირითადი წყარო და ცდილობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურად მოთაფვლას შეეცადნენ.[178] თუმცა ადგილობრივები საპირისპიროდ თავიანთი ლიდერების გარშემო გაერთიანდნენ. ნდობა დაიკარგა და ვითარება დაიძაბა. რუსეთმა იმდენად გააძლიერა სეპარატისტული რეჟიმისადმი მხარდაჭერა, რომელსაც ედუარდ კოკოითი ხელმძღვანელობდა, რომ დამკვირვებლები დე ფაქტო სახელმწიფოებრიობის „აუთსორსინგის“ შესახებ ლაპარაკობდნენ.[179] თბილისმა დაიწყო ალტერნატიული ადმინისტრაციის მხარდაჭერა დიმიტრი სანაკოევის ხელმძღვანელობით, რომელიც ასევე აცხადებდა, რომ სამხრეთ ოსეთის სახელით საუბრობდა, მაგრამ დაფუძნებული იყო რეგიონის ქართველებით დასახლებულ რაიონებში.[180] კონფლიქტის ხაზის გასწვრივ კომუნიკაცია ჩაიშალა და — გაღრმავებული გეოპოლიტიკური განხეთქილების ფონზე — 2008 წელს მხარეები ერთმანეთთან ომში აღმოჩნდნენ. ქართველთა კიდევ ერთ ტალღას მოუწია სახლების დატოვება, რადგან ოსმა მილიციებმა და რუსმა "მშვიდობისმყოფელებმა" გაძლიერეს რეგიონზე კონტროლი. მოსკოვის მიერ მისი აღიარების შემდეგ, მისი ჩრდილოელი მფარველის მიერ ფაქტობრივად სამხრეთ ოსეთის ანექსია მოხდა, მიუხედავად კოკოითის პოლიტიკური მანქანის დაცემისა და 2012 წელს ლეონიდ თიბილოვის აღზევებისა.[181]

აფხაზეთი კიდევ ერთი ფრონტია, რომელზეც სააკაშვილის ბრძოლა ეროვნული გაერთიანებისთვის წარუმატებლობით დასრულდა. იმავე დღეს, 2006 წლის მაისში, როდესაც აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თბილისში გაემგზავრა მხარეებს

---

[176] ICG (2004a): “Saakashvili’s Adjara Success: Repeatable Elsewhere in Georgia?”. Europe Briefing, 18 August 2004. Brussels: International Crisis Group.
[177] Liles, Thomas (2012): “Islam and Religious Transformation in Adjara”. *ECMI Working Paper* No*57*. Flensburg: European Center for Minority Issues.
[178] ICG (2004b): “Georgia: Avoiding War in South Ossetia”. Europe Report No159. Brussels: International Crisis Group.
[179] Popescu, Nicu (2006): ”Outsourcing de facto Statehood: Russia and the Secessionist Entities in Georgia and Moldova”. *Centre for European Policy Studies* Policy Brief, No. 109.
[180] ICG (2007): “Georgia’s South Ossetia Conflict: Make Haste Slowly”. Europe Report No183. Brussels: International Crisis Group.
[181] Hale, Henry (2015: 212-220): *Patronal Politics: Eurasian Regime Dynamics in Comparative Perspective*. New York: Cambridge University Press.

შორის ინტენსიური დიალოგის დასაწყებად, სააკაშვილმა გადაწყვიტა ახალი სამხედრო ბაზა გაეხსნა სამეგრელოში, აფხაზეთის საზღვართან. მალევე, ქართულმა პოლიციამ სპეცოპერაცია ჩაატარა ჩრდილოეთ აფხაზეთში მდებარე, კოდორის ხეობაში სამხედრო მეთაურის, ემზარ კვიციანის დასამხობად.[182] ამან თბილისს დასაყრდენი გაუჩინა აფხაზეთის შიგნით, მაგრამ ასევე შიში აღძრა აფხაზებში. ადგილობრივებმა გაითვალისწინეს საქართველოს მზარდი სახელმწიფო ძალა და მზარდი თანხები, რომლებიც მისი შეიარაღებული ძალებისთვის გამოიყოფოდა და, შესაბამისად, უკუაგდეს სააკაშვილის დაპირებები ფართო თვითგამორკვევის შესახებ.[183] უფრო მეტიც, თბილისის სიყვარული თავის პრობლემებზე რუსეთს დააკისროს პასუხისმგებლობა, ართულებდა იმ ფაქტის გამოყენებას, რომ აფხაზეთს რეალურად უფრო შორეული ურთიერთობა ჰქონდა მის ჩრდილოელ პატრონთან, ვიდრე სამხრეთ ოსეთს.[184] 2008 წელს ომის დაწყების შემდეგ, რუსეთის ჯარებმა მეორე ფრონტი აფხაზეთის გავლით გახსნეს, რითაც ქართული ჯარები კოდორის ხეობიდან შორს, არასადავო ქართულ მიწებში განდევნეს. 2008 წლის ომის დასრულებიდან და რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, რეგიონი უფრო მეტად მოექცა მოსკოვის გავლენაში.[185]

თუ რაიმე კარგი გამოვიდა ამ წარუმატებლობებიდან, შეიძლება იყო ის რომ სააკაშვილის ერის მშენებლებმა ყურადღება იმ უმცირესობების ინტეგრირებაზე გადაიტანეს, რომლებიც ჯერ კიდევ მათ კონტროლს ექვემდებარებოდნენ და უფრო გააზრებული პოლიტიკების გატარება დაიწყეს. ჯავახეთში მცხოვრებმა სომხებმა გააპროტესტეს თბილისის მცდელობა აღესრულებინა სახელმწიფო ენის კანონები. მათთვის საქართველოს უნივერსიტეტების ხელმიუწვდომლობამ ასევე მოზარდები აიძულა უმაღლესი განათლებისა და სამუშაოს საძიებლად საზღვარგარეთ ემიგრაციაში წასულიყვნენ.[186] იმის შიშით, რომ მათი რეგიონი დაკარგავდა სომხურ ხასიათს, ადგილობრივებმა 2004 წლიდან 2008 წლამდე გამართეს მთელი რიგი საპროტესტო აქციები, როდესაც ამ მოვლენების ორგანიზატორის, *ერთიანი ჯავახქის*, მიმართ მკაცრი ზომები გატარდა. თუმცა, მისი მეორე ვადის განმავლობაში, სააკაშვილის პოლიტიკამ მომრიგებლური ხასიათიც შეიძინა. საჯარო მოხელეებს აღარ ეშინოდათ სამსახურის დაკარგვის, რადგან ენობრივი კანონების აღსრულება შერბილდა და ზოგიერთმა სტუდენტმა აფირმატიული მოქმედების სქემის შემოღების შემდეგ დაიწყო საქართველოს უნივერსიტეტებში ჩარიცხვა. მაგრამ მაშინაც კი, როცა უფრო მეტი მოზარდი ხედავდა თავის მომავალს საქართველოში და ქართული ენა

---

[182] Civil Georgia, 25 July 2006.

[183] ICG (2006a): “Abkhazia Today”. Europe Report No176. Brussels: International Crisis Group.

[184] მაშინდელმა პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა კრემლის მხარდაჭერილი კანდიდატი 2004 წელს დამარცხა. გარდა ამისა, სამხრეთ ოსეთის ოფიციალური პირებისგან განსხვავებით, აფხაზ ჩინოვნიკებს არ სურდათ რუსეთთან შეერთება, არამედ დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდნენ.

[185] ICG (2010): “Abkhazia: Deepening Dependence”. Europe Report No202. Brussels: International Crisis Group.

[186] ICG (2006b): “Georgia’s Armenian and Azeri Minorities”. Europe Report No178. Brussels: International Crisis Group.

ისწავლა, ადგილობრივებმა შეინარჩუნეს იმედი რომ სომხური ჯავახეთში რეგიონული ენის სტატუს შეიძენდა.

ქვემო ქართლის აზერბაიჯანელები ასევე შეშინებულნი იყვნენ სააკაშვილის პოლიტიკის მიმართ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კონტრაბანდული ვაჭრობის ჩახშობა და სასოფლო-სამეურნეო მიწების უსამართლო განაწილებამ შეზღუდა მათი საარსებო საშუალება. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო სპორადული პროტესტის მიუხედავად, აზერბაიჯანელები - ჯავახეთის თანამოქალაქეებისგან განსხვავებით - იშვიათად აყენებენ ეთნოპოლიტიკურ პრეტენზიებს. ადგილობრივების უმეტესობა სახელმწიფო ენას იზოლაციისგან თავის დაღწევის გზად აღიქვამდა. არაქართულენოვან სკოლებში ქართულის არაადეკვატური სწავლების გამო სულ უფრო მეტმა მშობელმა ჩაირიცხა შვილები ქართულენოვან სკოლებში. უფრო მეტიც, 2010 წელს დადებითი ქმედების სქემის შემოღების შემდეგ, აზერბაიჯანელი სტუდენტები საქართველოს უნივერსიტეტებში შევიდნენ.

ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებსაც ეშინოდათ სააკაშვილის პოლიტიკის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კონტრაბანდული ვაჭრობის აღკვეთამ და სასოფლო-სამეურნეო მიწების უსამართლო განაწილებამ შეზღუდა მათი საარსებო საშუალებები. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო სპორადული პროტესტის მიუხედავად, აზერბაიჯანელები — ჯავახეთის თანამოქალაქეებისგან განსხვავებით — იშვიათად აყენებდნენ ეთნოპოლიტიკურ მოთხოვნებს. ადგილობრივების უმეტესობა სახელმწიფო ენას იზოლაციისგან თავის დაღწევის გზად აღიქვამდა. არაქართულენოვან სკოლებში ქართულის არასათანადო სწავლების გამო სულ უფრო მეტმა მშობელმა ჩარიცხა შვილები ქართულენოვან სკოლებში. უფრო მეტიც, 2010 წელს აფირმატიული ქმედების სქემის შემოღების შემდეგ, აზერბაიჯანელი სტუდენტები საქართველოს უნივერსიტეტებში მასობრივად შევიდნენ.

ერის მდგომარეობა 2012 წლიდან

სააკაშვილის მთავრობის უხეში პოლიტიკით იმედგაცრუებამ და დამაჯერებელი ოპოზიციის აღზევებამ, რომელიც ორგანიზებული იყო მილიარდერი ბიძინა ივანიშვილისა და მისი ალიანსის „ქართული ოცნების“ (ქც) გარშემო, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის დრამატული მარცხი გამოიწვია.

ამ არჩევნებამდე და მის შემდეგ მომხდარი მოვლენები მიუთითებს იმაზე, რომ მმართველი პარტიის ტრადიციული პოლიტიკური ძალაუფლება ეთნო-რეგიონებზე შესაძლოა გაქრობის გზაზე დგას.[187] წინასაარჩევნოდ, მაშინდელმა ოპოზიციამ სამხრეთ ეთნორეგიონებში საარჩევნო კამპანია ჩაატარა და ამომრჩევლები მოიზიდა, არჩევნების დღეს კი ცხადი გახდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უმცირესობებშიც

[187] George, Julie (2014): “Can hybrid regimes foster constituencies? Ethnic minori- ties in Georgian elections, 1992–2012” in *Electoral Studies* 35: 328-345.

შეაღწია. ზოგიერთი პარლამენტარი რეგიონებიდან, როგორიცაა ნინოწმინდის დეპუტატი (ენზელ მკოიანი) და დმანისის დეპუტატი (კახაბერ ოქრიაშვილი) ელიტური კოოპტაციის ტრადიციის შესაბამისად მალევე ჩამოშორდნენ ნაციონალურ მოძრაობას, რომლის სახელითაც ისინი პირველ რიგში აირჩიეს. თუმცა, ასევე საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სხვა დეპუტატები, როგორიცაა სამველ პეტროსიანი ახალქალაქიდან და აზერ სულეიმანოვი მარნეულიდან, ნაციონალური მოძრაობის ერთგულები დარჩნენ და ახალ ოპოზიციაში მნიშვნელოვანი ხმები გახდნენ. ეს იმედისმომცემი ნიშნებია იმისა, რომ სომხებით და აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში პოლიტიკა „ნორმალიზებას“ განიცდის და რომ უმცირესობებს, ისევე როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეებს, საკმაოდ თავისუფლად შეუძლიათ დაუპირისპირდნენ თავიანთ ცენტრალურ ხელისუფლებას, სახელმწიფოსთან დაპირისპირებულობის ბრალდების გარეშე.

2014 წელს რეინტეგრაციის სახელმწიფო სამინისტრომ, რომელსაც ახლა პაატა ზაქარეიშვილი ხელმძღვანელობს, სახელი შეიცვალა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო სამინისტროდ, რათა მოეხსნა სემანტიკური დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის კომუნიკაციას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დე ფაქტო ოფიციალურ პირებთან.[188] მაგრამ ქართული ოცნების მთავრობამ შეინარჩუნა წინამორბედისგან მემკვიდრეობით მიღებული სხვა სტრუქტურები. ნაციონალური მოძრაობის შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის ვადის ამოწურვიდან ორი წლის შემდეგ, რომელიც 2008 წლიდან 2013 წლამდე პერიოდს მოიცავდა, ხელისუფლებამ „2015-2020 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგია“ გამოაქვეყნა. ტანდემში მიღებულ იქნა ყოვლისმომცველი ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი და სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა თანასწორობის დეპარტამენტი.[189] გარდა ამისა, პარლამენტმა 2015 წელს მიიღო კანონი ოფიციალური ენის შესახებ. მან მიიღო დებულებები ოფიციალური ენის კათედრის შექმნის შესახებ და დაადასტურა ქართული ენის, როგორც მოქალაქეებისთვის სავალდებულო ელემენტის სტატუსი და, შესაბამისად, როგორც „არსებითი [საქართველოს] სახელმწიფოებრიობისთვის“.[190] ბოლოდროინდელი ექსპერიმენტული კვლევები ვარაუდობს, რომ ქართველების ახალგაზრდა თაობა ამ პოზიციას იზიარებს: უმცირესობები უნდა დაეუფლონ სახელმწიფო ენას, რათა მათ ისინი მიიღონ და ამის შემდეგ წარმოშობის საფუძველზე არ მოხდება მათი გარიყვა.[191]

სხვა ასპექტები ნაკლებად გამამხნევებელია. 2014 წლის სექტემბერში, ქართული ოცნების ხელმძღვანელობით პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი ბინადრობის

---

[188] Civil Georgia, 2 January 2014.

[189] Civil Georgia, 2 May 2014.

[190] Matsne (2015): *Law of Georgia on Official Language*. Document number 4084. Legislative Herald of Georgia. Available at: https://matsne.gov.ge/en/document/ view/2931198.

[191] Mghdesyan, Arshaluis (2015): “Armenians in Georgia Want Secure Residence Rights” in *Institute for War and Peace Reporting* (3 April).

ნებართვის შესახებ, რომლის მიზანი შიდა პოლიტიკების ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა იყო. თუმცა, ამ რეგულაციებმა საქართველოს უმცირესობებს შეუქმნა პრობლემები, პირველ რიგში ჯავახეთში და ნაკლებად ქვემო ქართლში, სადაც ზოგიერთმა მეორე პასპორტი აიღო. ახალქალაქში ზოგიერთმა ადგილობრივმა 62-ე სამხედრო ბაზაზე (დღეს უკვე გაუქმებული) დასაქმების პირობით რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. სხვებმა 2006 წლის შემდეგ სომხური ან აზერბაიჯანული პასპორტები აიღეს, როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დაიძაბა და ამ უკანასკნელმა სავიზო რეჟიმი შემოიღო, რამაც ბარიერები შეუქმნა რუსეთში გამგზავრების მსურველ საქართველოს მოქალაქეებს. ადგილობრივი ოჯახებისთვის, რომლებიც დამოკიდებულები არიან რუსეთიდან შრომითი მიგრანტების ფულად გზავნილებზე, მეორე პასპორტის აღება აუცილებელი გახდა, თუმცა არსებული კანონმდებლობა კრძალავს ორმაგ მოქალაქეობას (პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანხმობის გარეშე). ეს წესები ადრე უგულვებელყოფილი იყო, მაგრამ ბინადრობის ახალი კანონმდებლობის მიღების შემდეგ ორმაგი პასპორტის მქონე უმცირესობებს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერთვათ და საქართველოში დარჩენის მიზნით ბინადრობის ნებართვის მისაღებად ქაოტური პროცესის გავლა მოუწიათ.[192]

გარდა ამისა, როგორც ფართო კოალიცია, რომელსაც ძალიან ცოტა აერთიანებს გარდა სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობისადმი დაპირისპირებისა, ქართულმა ოცნებამ თავის რიგებში შეიყვანა ზოგიერთი პირი და პარტია, რომლებიც ეთნორელიგიურ ეროვნულ პროექტს ემხრობიან (როგორიცაა საქართველოს კონსერვატიული პარტია). ამ ხმაურიანმა ნაციონალისტურმა ელემენტებმა საზღვრისპირა რეგიონებში უმცირესობებს შორის შეშფოთება გამოიწვია, რაც აღნიშნულია ევროპის საბჭოს[193] ანგარიშში ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის განხორციელების შესახებ: „მატულობს სიძულვილის ენა რელიგიური და ეროვნული უმცირესობების მიმართ“ და ფაქტები არ განიხილება ან მიკერძოებულად განიხილება სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რაც ძირს უთხრის ეროვნულ უმცირესობებს შორის პოლიციის მიმართ ნდობას. ქართული ოცნების პირობებში, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის პოპულარიზაციის მცდელობები — და მისი არამიმდევრების სტიგმატიზება — უფრო დაჩქარდა, მათ შორის საჯარო სკოლებში და განსაკუთრებით აჭარის რეგიონში. ამას გარდა, ქვემო ქართლისა და ჯავახეთის არაქართულ სკოლებში, სადაც გაკვეთილები აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ისწავლებოდა, სწავლის დონე კიდევ უფრო დაეცა კვალიფიციური მასწავლებლებისა და შესაბამისი სასკოლო მასალის ნაკლებობის გამო. იმის მიუხედავად, რომ ახალგაზრდა სომხებმა და აზერბაიჯანელებმა ქართულის სწავლა დაიწყეს, ძირითადად 2010 წლიდან აფირმატიული სამოქმედო სქემის წყალობით, რომელიც

[192] Mghdesyan 2015.

[193] Council of Europe (2016: 1, 19): A*dvisory Committee on the Framework Con- vention for the Protection of National Minorities: Second Opinion on Georgia*. Strasbourg.

უნივერსიტეტების ხელმისაწვდომობას განაგებს — სამხრეთ საზღვრისპირა თემებში მარგინალიზებისა და გაუცხოების განცდა კვლავ შენარჩუნდა.

ამდენად, მიუხედავად მოვლენებით სავსე 25 წლისა, საქართველოს ჯერ კიდევ არ აქვს დასრულებული ერის მშენებლობის პროექტი. გამსახურდიამ მაშინდელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დამოუკიდებლობისკენ წაიყვანა, მაგრამ ერი დაანაწევრა. შევარდნაძემ ნაწილებს თავი მოუყარა, მაგრამ ვერ მოახერხა მათი ინტეგრირება. სააკაშვილი მათ ინტეგრირებას ცდილობდა და ზოგან წარმატებასაც მიაღწია, ზოგან კი ეს ვერ შეძლო. ამ გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა ქართული ოცნების პასუხისმგებლობაა. იმისათვის, რომ სახელმწიფო დევიზი „ძალა ერთობაშია“ ხედვიდან პრაქტიკად იქცეს, ჩინოვნიკებმა მეტი უნდა გააკეთონ, როგორც უმცირესობების წახალისების მიზნით, რომ მათ საერთო სახელმწიფო ენა ისწავლონ, ისე თავიდან უნდა აიცილონ უმცირესობების დისკრიმინირება მათი წარმოშობის ან რელიგიის საფუძველზე.